პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

25 ნოემბერი 1937 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო | ფასი 30 კაპ. № 27 (49).

მწერალთა მონაწილეობა საარჩევნო სამზადისში

სსრკ უზენაეს საბჭოს საარჩევნო კამპანიამ ფართოდ მოედო ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა რესპუბლიკას და მათ შორის ორდენოსან საქართველოსაც. საწარმოებსა, საამშენებლო სამუშაოებზე, დაწესებულებებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში,—ყველგან დიდის პოლიტიკური აქტივობით ეწყობა კრებები, სადაც მშრომელნი ასახელებენ უზენაეს საბჭოში ასარჩევ დეპუტატობის კანდიდატებს.

წინასაარჩევნო კრებებს არ აკლდება თითქმის არც ერთი მშრომელი, რომელიც დიდი ინტერესით ეკიდება თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას და ამჟღავნებს იშვიათ გულმოდგინეობას, რომ მომავალ არჩევნებში სავსებით და მთლიანად გამოიყენოს ყველა ის უფლება, რომელსაც სტალინური კონსტიტუცია ანიჭებს საბჭოთა მოქალაქეს.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გულისყური, რომელსაც იჩენენ ამრჩეველთა მასები დეპუტატად ასარჩევ კანდიდატებისადმი. საზომი, რომლითაც მშრომელნი კანდიდატად წამოსაყენებელ მოქალაქის უდგებიან, არის სოციალისტურ მშენებლობაში მისი მონაწილეობის, მისი როლის, დამსახურების, მისი იდეურ-მორალური სახის გათვალისწინება და შეფასება.

ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში, სადაც ყოველდღიური თავდადებული შრომა საზოგადოებრივ მოღვაწეობადაა გამოცხადებული, სადაც ფიზიკური თუ გონებრივი შრომის ყოველ სფეროში მოპოვებულ წარმატებას ადამიანი სახალხო გმირის სიმაღლემდე აჰყავს, სადაც ყოველი მოქალაქის ესა თუ ის თვალსაჩინო დამსახურება დაუყოვნებლივ ცნობილი ხდება მილიონებისათვის, — ასეთ ქვეყანაში მასებმა იციან, თუ ვინ უნდა წამოაყენონ თავიანთ კანდიდატებად.

და განა ვისმესთვის მოულოდნელი არის ის, რომ იქ, სადაც ასარჩევი კანდიდატის შეფასების საზომს ადამიანის ღვაწლი და დამსახურება წარმოადგენს, ყველგან, ყველა საარჩევნო უბანში კანდიდატებად ასახელებენ იმ მოქალაქეებს, რომლებმაც თავი ისახელეს გმირული შრომით, სამშობლოსა, პარტიისა და ბელადისადმი თავდადების მაჩვენებელი საქმეებით. საბჭოთა ქვეყნის თვალუწვდენელ სივრცის ყველა საარჩევნო უბანს უდიდეს ბედნიერებად მიაჩნია პირველ კანდიდატად წამოაყენოს ის, ვისი გენიალური ხელმძღვანელობითაც დედამიწის ერთი მეექვსედი გადაიქცა სოციალიზმის ქვეყნად, ვინც შექმნა ბედნიერი ცხოვრება მილიონებისათვის და უზრუნველჰყო მათთვის კიდევ უფრო მეტად წარმატება მერმისი, ყველა უბანს უდიდეს სიამაყედ მიაჩნია თავის დეპუტატად აირჩიოს ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი.**

ასეთი უდიდესი ენთუზიაზმით ასახელებენ მასები თავიანთ კანდიდატად დიდი ბელადის ერთგულ და უახლოეს თანამებრძოლებს — ამხანაგ **მოლოტოვს, ვოროშილოვს, ლ. კაგანოვიჩს, მიქოიანს, ჟდანოვს, ეჟოვს,** ხოლო საქართველოში გამობრძმედილ სტალინელს, ქართველი ხალხის სახელოვან ხელმძღვანელს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას.**

ასეთი დიდის სიყვარულით, ხალისით და ენთუზიაზმით აცხადებენ მასები თავიანთ კანდიდატებად პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს, რომლებმაც თავდადებული გმირული შრომით დაამტკიცეს თავიანთი ერთგულება **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი, თავიანთ დიდ სამშობლოსადმი. საარჩევნო კამპანიის პირველ ათდღიურში ჭიათურის ბერიას სახელობის ქარხანა-მაღაროს მუშა-მოსამსახურეებმა წამოაყენეს კანდიდატურა ამხანაგ **ვასილ სამხარაძისა,** რომელმაც ჭიათურაში პირველად მაღლა ასწია სტახანოვური მოძრაობის დროშა და თან გაიყოლა მუშათა მასები. ტფილისის სარკინიგზო ტრანსპორტის საინჟინერო ინსტიტუტის კოლექტივმა წამოაყენა ლენინის ორდენოსანი სტახანოველი მუშა **დავით ქიქინაძე,** რომელსაც წარმოებაში არა ერთი და ორი საკავშირო რეკორდი აქვს დამყარებული; ტფილისის საორთქლმავლო დეპოს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა — **ანდრო წიკლაური,** სტახანოვური მოძრაობის ინიციატორი ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე; ტფილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის მუშებმა — **ეთერი მაზანაშვილი** ერთ-ერთი პირველი სტახანოველი თავის წარმოებაში, ამჟამად ამ ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ჩვენ, საქართველოს მწერალთა მთელი კოლექტივი, არ შეიძლება ღრმისი კმაყოფილებით არ შევხვდით ტფილისის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობების მიერ ჩვენი დამსახურებული მწერლის, დრამატურგის და თეატრალური მოღვაწის **შალვა დადიანის** ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებას. ამით მშრომელმა კოლმეურნეებმა ცხადჰყვეს, თუ რამდენად პოპულარულია მასებში ამხ. შალვა დადიანის მოღვაწეობა, მისი შემოქმედება დრამატურგიის სფეროში. ამხ. შ. დადიანი ახალგაზრდული გატაცებით განაგრძობს მშრომელი ხალხის სამსახურს. საბჭოთა პერიოდში მან დასწერა რამდენიმე პიესა, რომლებიც მთელი რიგი წლების განმავლობაში იდგმებოდა და იდგმება ჩვენი დედა-ქალაქის აკადემიური თეატრების და აგრეთვე პერიფერიების სცენაზე. იგი სწერს მეტად საყურადღებო რომანს სამეგრელოს გლეხობის რევოლუციური მოძრაობიდან.

წამოაყენა რა თავის კანდიდატად საქართველოს საბჭოთა მწერლების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ამით ტფილისის რაიონის მშრომელთა კოლექტივმა გამოხატა თავისი ნდობა და სიყვარული საერთოდ მთელი საბჭოთა მწერლობისადმი.

ეს ფაქტი ჩვენ ბევრ რასმე გვავალებს. პირველ ყოვლისა, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ვართ ჩვენი დიდი სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი, სოციალიზმის მშენებელი მასების შესაფერი მწერლები. ჩვენმა მწერლებმა თავიანთი მოქალაქეობა უნდა დაამტკიცონ აქტიური მონაწილეობით ამ უდიდეს საარჩევნო კამპანიაში.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შედის წარმომადგენლად ჩვენი ორგანიზაციიდან ჩვენი კოლექტივის ერთ-ერთი მოწინავე პოეტი ამხ. **სიმონ ჩიქოვანი,** რომელიც ენერგიულად მუშაობს როგორც ამ საარჩევნო კომისიის წევრი. მაგრამ მწერალთა კოლექტივი ამით ვერ შემოფარგლავს თავის მონაწილეობას უზენაეს საბჭოს არჩევნებისათვის მზადებაში. ჩვენი ორგანიზაციის ყველა მოწინავე წევრი აქტიურად უნდა ჩაებას არჩევნების მოსამზადებელ კამპანიაში, მონაწილეობა უნდა მიიღოს არჩევნების საორგანიზაციო მუშაობაში. განსაკუთრებით ამ მხრივ მწერლებს დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ სოფლად. მათ შეუძლიათ დაეხმარონ სოფლის საბჭოებს და პარტიულ ორგანიზაციებს იმის შემოწმებაში, თუ რამდენად სწორად არის შედგენილი საარჩევნო სიები და სხვა.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ საარჩევნო კამპანიაში მწერალმა მონაწილეობა მიიღოს თავისი სპეციფიური იარაღით—კალმით. ამ დიდ ისტორიულ მომენტში მთელი ძლიერებით უნდა გაისმას მხატვრული სიტყვა. პოეტების და პროზაიკოსების კოლექტივებმა ერთ-ერთ თავიანთ კრებაზე უკვე აღუთქვეს ჩვენი ქვეყნის სახელოვან ხელმძღვანელს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას,** რომ არჩევნების დღისათვის გამოსცემენ კრებულს, რომლის მონაწილე ყოველი მწერალი შეეცდება გამოხატოს ის სიხარული და ბედნიერება, რასაც განიცდის საბჭოთა ქვეყნის ყოველი პატრიოტი სოციალიზმის გამარჯვებით ჩვენს ქვეყანაში. ეს დავალება მწერალთა აქტივმა ყოველ მიზეზგარეშე უნდა გაანაღდოს.

საარჩევნო პერიოდში ყოველი მოწინავე მწერალი პარტიასა და ხალხს გვერდში უნდა ამოუდგეს თავისი იარაღით — მხატვრული სიტყვით და ბოლშევიკური დაუნდობლობით ამხილოს კლასობრივი მტრის — კონტრრევოლუციურ ტროცკისტ-ბუხარინულ ნაძირალების მახინაცეები, რომლებიც შეეცდებიან ხელი შეუშალონ საარჩევნო კამპანიის წარმატებას. ყველგან, სადაც კი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხატვრული სიტყვა, საბჭოთა მწერალი პირველ რიგებში უნდა იდგეს. მთელი ჩვენი ორგანიზაცია მთელი სისასტიკით უნდა შეებრძოლოს საარჩევნო კამპანიაში მწერლის ზერელე, ფორმალურ მონაწილეობას, ჩვენმა ორგანიზაციამ არა მარტო უნდა გაგზავნოს და დაავალოს მწერალს არჩევნებთან დაკავშირებული ესა თუ ის საქმე, არამედ კიდეც უნდა შეამოწმოს, თუ როგორ ასრულებს ესა თუ ის მწერალი თავის საპატიო მოქალაქეობრივ მოვალეობას.

საქართველოს საბჭოთა მწერლობა დიდი გამოცდის წინაშე იმყოფება, მან უნდა დაანახოს ქვეყანას, თუ რამდენად შესწევს უნარი აქტიური მონაწილეობა მიიღოს უდიდეს ისტორიულ-პოლიტიკურ კამპანიაში, რამდენად შესწევს მომზადება დაეხმაროს პარტიას და ხელისუფლებას მშრომელი მასების პოლიტიკური აქტივობის ორგანიზაციის საქმეში.



საბჭოთა მწერლები—სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

შალვა დადიანი

დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა ტფილისის რაიონის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრებები.

პირველ ნოემბერს შესდგა სოფელ ბაგების კ. ვოროშილოვის სახელობის და სოფელ ავჭალის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობათა წევრების კრებები. ამ კრებებს დაესწრო 800 წევრ-ამომრჩეველზე მეტი.

საკავშირო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კოლმეურნეობებმა დაასახელეს მწერალი-დრამატურგი **შალვა ნიკოლოზისძე დადიანი.**

ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობის წევრ-ამრჩეველთა კრებაზე ამხ. შალვა დადიანის კანდიდატურა წამოაყენა კომკავშირელმა ვანო დეკანოსიძემ. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს კოლმეურნეებმა ნ. ზაგაშვილმა, დ. მახვილაძემ, ბ. ალადაშვილმა დასხვ. კოლმეურნეები ახასიათებდნენ ამხ. შალვა დადიანს, როგორც ქართული თეატრის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს და მწერალს, დიდის აღფრთოვანებით აღნიშნავდნენ რა მის დამსახურებას ქართული თეატრის და დრამატურგიის განვითარებაში.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციებში კოლმეურნეობის წევრები აცხადებენ, რომ ისინი ერთსულოვნად ასახელებენ შალვა დადიანის კანდიდატურას საკავშირო საბჭოს დეპუტატობაზე.

ა. ნ. ტოლსტოი

სტარორუსის საფანერო კომბინატის (ლენინგრადის ოლქი) მუშათა, ინჟინერთა და მოსამსახურეთა კრებაზე მოხუცმა მუშამ სემიონ კუპრიანოვმა წინადადება შეიტანა, რომ კანდიდატად საკავშირო საბჭოს დეპუტატობისათვის წამოყენებულ იქნას საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი პოპულარული მწერალი ალექსეი ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი. ამხ. კუპრიანოვის წინადადებას მხარი დაუჭირა მთელმა მიტინგმა, რომელსაც დაესწრო 1.800 მუშა-მოსამსახურე.

მ. ა. შოლოხოვი

ნოვოჩერკასკის საარჩევნო ოლქში ნოვოჩერკასკის ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტთა, პროფესორთა, მასწავლებელთა, მოსამსახურეთა და მუშათა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა საკავშირო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა ცნობილი რუსი საბჭოთა მწერალი მიხეილ ალექსანდრეს-ძე შოლოხოვი.

„წყნარი დონის“ და „გატეხილი ყამირის“ ავტორი, ამხ. შოლოხოვი ნოვოჩერკასკის საარჩევნო ოლქში კანდიდატად დაასახელა აგრეთვე ვოროშილოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კაზაკ კოლმეურნეთა საერთო კრებამ.

ვ. პ. სტავსკი

გროზნოს საქალაქო საარჩევნო ოლქში ქარხანა „კრასნი მოლოტ“-ის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა ეროვნებათა საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს ვლადიმერ პეტრეს-ძე **სტავსკი.** ამ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრების მიერ ამ საკითხზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია შემდეგი:

„ჩვენ ვაყენებთ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად უდიდესი რუსი მწერლის მაქსიმ გორკის ერთგულ მოწაფეს, საბჭოთა მწერალს და საბჭოთა მწერლების კავშირის ხელმძღვანელს ამხ. ვლადიმერ პეტრეს-ძე სტავსკის“.

ა. ე. კორნეიჩუკი

ზვენიგოროდის საარჩევნო ოლქში ოლხოვეცკის შაქრის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა საკავშირო საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა „ესკადრის დაღუპვის“ და „პლატონ კრეჩეტის“ ავტორი, უკრაინელი დრამატურგი ა. ე. კორნეიჩუკი.

სულეიმან სტალსკი

იზბერბაშის (დაღესტნის ა. ს. ს. რ. დერბენტი) ნავთის სარეწაოს მუშათა და სპეციალისტთა წინასაარჩევნო კრებებზე, რომლებზედაც ირჩეოდა საკავშირო საბჭოში ასარჩევ სადეპუტატო კანდიდატების საკითხი, სამხრეთ დაღესტნის მკვიდრმა მუშებმა წინადადება შეიტანეს, დერბენტის საარჩევნო ოლქიდან საკავშირო საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას დაღესტნის სახალხო პოეტი, ორდენოსანი სულეიმან სტალსკი. ამ კანდიდატურას მხარი დაუჭირა სარეწაოს ყველა მუშამ და სპეციალისტმა, რომლებიც ახასიათებენ სულეიმან სტალსკის, როგორც სიხარულისა და ბედნიერების მგოსანს, საბჭოთა ხალხის სულისკვეთების გამომხატველს, დიად სტალინურ გამარჯვებათა მომღერალს.

სულეიმან სტალსკის კანდიდატურა წამოყენებულ იქნა აგრეთვე დერბენტისა და ყასუმ-კენტის რაიონის მთელ რიგ საწარმოთა მუშებისა და კოლმეურნეობათა წევრების მიერ.

ღია წერილი საოლქო საარჩევნო კომისიებს

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერებმა, თვითეულმა ცალკე, მივიღეთ დეპეშები სხვადასხვა ქარხნებისაგან, კოლმეურნეობებისაგან და სხვადასხვა ოლქებისა და ოკრუგების ამომრჩეველთა წინასაარჩევნო თათბირებისაგან იმის შესახებ, რომ ჩვენ წამოყენებული ვართ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად მთელ რიგ საარჩევნო ოლქებში.

ჩვენ დიდ მადლობას ვწირავთ ნდობისათვის ყველა ამომრჩეველ ამხანაგს, რომლებმაც ჩვენი კანდიდატურები წამოაყენეს.

მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ვინაიდან კანონით თვითეულ ჩვენგანს შეუძლია კენჭი იყაროს მხოლოდ ერთერთ საარჩევნო ოლქში, ჩვენ, როგორც კომუნისტებმა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, მივმართეთ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მითითებებისათვის. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მოგვცა მითითება მოვხსნათ ჩვენი კანდიდატურები სხვა ოლქებში და კენჭი ვიყაროთ შემდეგ საარჩევნო ოლქებში:

ა. ა. ანდრეევმა — კავშირის საბჭოში, აშხაბადის საარჩევნო ოლქი, თურქმენეთის სსრ.

ვ. კ. ბლიუხერმა — კავშირის საბჭოში, ვოროშილოვსკის საარჩევნო ოლქი, შორეულ აღმოსავლეთის მხარე.

ნ. ა. ბულგანინმა — ეროვნებათა საბჭოში, მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქი, ქ. მოსკოვი.

ს. მ. ბუდიონიმ — კავშირის საბჭოში, შეპეტოვკის საარჩევნო ოლქი, უკრაინის სსრ.

რ. ი. ეიხემ — კავშირის საბჭოში, ნოვოსიბირსკის საარჩევნო ოლქი, ქ. ნოვოსიბირსკი.

ნ. ი. ეჟოვმა — კავშირის საბჭოში, გორკის—ლენინის საარჩევნო ოლქი, ქ. გორკი.

კ. ე. ვოროშილოვმა — კავშირის საბჭოში, მინსკის საქალაქო საარჩევნო ოლქი, ბელორუსია.

ლ. მ. კაგანოვიჩმა — კავშირის საბჭოში, ტაშკენტის—ლენინის საარჩევნო ოლქი, უზბეკეთის სსრ.

მ. ი. კალინინმა — ეროვნებათა საბჭოში, ლენინგრადის საქალაქო საარჩევნო ოლქი, ქ. ლენინგრადი.

ს. ვ. კოსიორმა — კავშირის საბჭოში, ლენინის საარჩევნო ოლქი, ქალაქი კიევი.

ა. ვ. კოსარევმა — კავშირის საბჭოში, ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი, უკრაინის სსრ.

ნ. კ. კრუპსკაიამ — კავშირის საბჭოში, სერპუხოვის საარჩევნო ოლქი, მოსკოვის ოლქი.

მ. მ. ლიტვინოვმა — კავშირის საბჭოში, პეტროგრადის საარჩევნო ოლქი, ქალაქი ლენინგრადი.

ვ. მ. მოლოტოვმა — კავშირის საბჭოში, მოლოტოვის საარჩევნო ოლქი, ქ. მოსკოვი.

ა. ი. მიქოიანმა — ეროვნებათა საბჭოში, ერევნის—სტალინის საარჩევნო ოლქი, სომხეთის სსრ.

დ. ზ. მანუილსკიმ — კავშირის საბჭოში, აკმოლინსკის საარჩევნო ოლქი, ყაზახეთის სსრ.

ლ. ზ. მეხლისმა — კავშირის საბჭოში, კუნცევოს საარჩევნო ოლქი, მოსკოვის ოლქი.

გ. ი. პეტროვსკიმ — ეროვნებათა საბჭოში, დნეპროპეტროვსკის საარჩევნო ოლქი, უკრაინის სსრ.

ა. ა. ჟდანოვმა — კავშირის საბჭოში, ვოლოდარსკის საარჩევნო ოლქი, ქ. ლენინგრადი.

ი. ბ. სტალინმა — კავშირის საბჭოში, სტალინის საარჩევნო ოლქი, ქ. მოსკოვი.

ნ. მ. შვერნიკმა — ეროვნებათა საბჭოში, სვერდლოვსკის საარჩევნო ოლქი, სვერდლოვსკის ოლქი.

ვ. ი. ჩუბარმა — კავშირის საბჭოში, ხარკოვის სასოფლო საარჩევნო ოლქი, უკრაინის სსრ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა — კავშირის საბჭოში, კრასნაია პრესნიას საარჩევნო ოლქი, ქ. მოსკოვი.

თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ მივიღეთ შესასრულებლად საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეს მითითებანი.

ვთხოვთ სათანადო საარჩევნო კომისიებს მიიღონ ცნობად ეს ჩვენი განცხადება და განიხილონ იგი როგორც დოკუმენტი დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის დროს.

ა. ა. ანდრეევი
ვ. კ. ბლიუხერი
ნ. ა. ბულგანინი
ს. მ. ბუდიონი
რ. ი. ეიხე
ნ. ი. ეჟოვი
კ. ე. ვოროშილოვი
ლ. მ. კაგანოვიჩი
მ. ი. კალინინი
ს. ვ. კოსიორი
ა. ვ. კოსარევი
ნ. კ. კრუპსკაია
მ. მ. ლიტვინოვი
ვ. მ. მოლოტოვი
ა. ი. მიქოიანი
დ. ზ. მანუილსკი
ლ. ზ. მეხლისი
გ. ი. პეტროვსკი
ა. ა. ჟდანოვი
ი. ბ. სტალინი
ნ. მ. შვერნიკი
ვ. ი. ჩუბარი
ნ. ს. ხრუშჩოვი

დიადი თარიღები

ჩვენი თაობის შემოქმედებითი ბიოგრაფია ორგანიულად დაკავშირებულია საბჭოთა სინამდვილის განვითარებასთან. საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების ბრძოლისა და ბედნიერი ცხოვრების 20 წელი არის ჩვენი ნამდვილი შთაგონების საფუძველი. უკვდავი ხალხის 20 წლის შემოქმედებითმა ენერგიამ შექმნა ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლო. ჩვენი ქვეყნის ზრდასთან ერთად იზრდებოდა და ვითარდებოდა ჩვენი თაობაც. თანდათან ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა ჩვენი თაობის ურყევი სიყვარული საკუთარ სამშობლოსადმი. ყალიბდებოდა გულწრფელი გრძნობა საბჭოთა პატრიოტიზმისა.

საბჭოთა პატრიოტიზმი სრულიად ახალი სახეა სამშობლოს სიყვარულისა. ეს არის სიყვარული ხალხის შემოქმედებითი ენერგიისა, მონაპოვარის საკუთარ ცხოვრებად მიჩნევა და ბრძოლა კიდევ უფრო დიადი მომავლისათვის. საბჭოთა პატრიოტიზმი პატივისცემაა საკუთარი ხალხის წარსულისა და მისი ახალი მიღწევებისათვის თავდადება. საბჭოთა პატრიოტიზმი ბელადისადმი უღრმესი სიყვარულის დამტკიცება და ხსენებული სიყვარულის საკუთარ შემოქმედებაში გამოხატვა.

საბჭოთა პატრიოტიზმი ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულით გამოწვეული საყოველთაო სიხარულია და ამ სიხარულის მხატვრულ სახეებში გადატანა. საბჭოთა პატრიოტიზმი სტალინის ხარტიის შინაარსის სიდიადეა.

ქება ხარტიისა სათქმელია კაზმული სიტყვით და პოეტისათვის გახსნილია გზა შთაგონების ასამაღლებლად.

დღევანდელი დღესასწაული სიხარულია არა მარტო ჩვენთვის, საბჭოთა მოქალაქეებისათვის, არამედ ოქტომბრის დღესასწაული აღტაცების გამომწვევია მსოფლიოს მშრომელი ხალხისათვის. ჩვენი სამშობლო გვაამაყებს ჩვენ, რადგან ის სამშობლოა ჩვენი და მთელი მსოფლიოს მშრომელებისა.

რევოლუციის დღესასწაული და უზენაეს საბჭოს არჩევნების დღეები ორგანიულად მისდევენ ერთმანეთს და ამშვენებენ ერთი მეორეს. სხვაფრივ არც შეიძლებოდა. ჩვენი დიადი ხარტია შედეგია **სტალინის** გენიით შთაგონებული უკვდავი ხალხის 20 წლის შემოქმედებითი მუშაობისა. 20 წელი ჩვენი სამშობლო ქვეყნისა დამტევია ყოველი ჩვენგანის ცხოვრებისა და ჩვენი სამშობლოს ინტერესების გარეშე ჩვენი შემოქმედება არ არსებობდა და არც შეიძლება არსებობდეს.

ყოველი სტრიქონი ჩვენი ცხოვრებისა უნდა ეგუებოდეს საბჭოთა სამშობლოს სიხარულსა და ბედნიერებას.

ყოველი სტრიქონი ჩვენი ნაწერისა უკვდავი ხალხის ინტერესებისთვის ბრძოლა უნდა იყოს.

ყოველი სტრიქონი ჩვენი ფიქრისა ნაკარნახევი უნდა იყოს იმ ადამიანური თვისებებით რომლებსაც უსაყვარლესი **სტალინის** პიროვნება უკარნახებს საბჭოთა მოქალაქეს და ყოველ „სულის ინჟინერს“.

ჩვენი პირველი შემოქმედებითი მხატვრული სიტყვა ეკუთვნის დიდი **სტალინის** პიროვნებას.

ჩვენი მოქალაქობრივი საარჩევნო ხმაც ეკუთვნის საბჭოთა კავშირის ცხოვრების პირველი ოსტატის ამხანაგ **სტალინის** გენიას.

სიმონ ჩიქოვანი.

მწერალთა ბრიგადები საარჩევნო სამზადისში მონაწილეობისთვის

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებთან ერთად ოქტომბრის 25-26 რიცხვიდან 10—15 დღის ვადით საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მიავლინა მწერალთა ბრიგადები.

ბრიგადებს ორი დიდი ამოცანა ჰქონდათ დავალებული — ერთი მხრით გაეწიათ დახმარება ადგილობრივი საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებისათვის უზენაეს საბჭოს საარჩევნო კამპანიის მომზადებაში, განემარტებიათ მასებისათვის სტალინური კონსტიტუცია, აეხსნათ ახალი საარჩევნო კანონი, არჩევნების ჩატარების წესები, გამოერკვიათ თუ რამდენად სწორად ადგენენ ადგილობრივ ამრჩეველთა სიებს, მოეწყოთ ოქტომბრის დიდი რევოლუციისა და უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი საღამოები, გაეცხოველებიათ ლიტერატურულ-მასობრივი მუშაობა და დაეკავშირებიათ იგი უზენაეს საბჭოს საარჩევნო სამზადისის ამოცანებთან. მეორე მხრით რაიონში მივლინებულ ბრიგადებს რედაქციებისაგან დაკისრებული ჰქონდათ გაცნობოდინ კოლმეურნეობებს, სამრეწველო საწარმოებს, ახალ ადამიანებს და აესახათ ისინი თავიანთ მხატვრულ შემოქმედებაში.

როგორ შეასრულეს მწერალთა ბრიგადებმა თავიანთი დავალებანი?

ეს საკითხი იდგა მწერალთა კავშირის სამდივნოს 13 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგში.

მოკლე საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდნენ ამხ.: დ. ზენაშვილი და დემნა შენგელაია (გორის რაიონი), კ. ბობოხიძე და ვ. გაბესკირია (ზუგდიდის რაიონი), გ. ნატროშვილი და ე პოლუმორდვინოვი (თელავის რაიონი), ვ. გორგაძე და ხ. თავაძე (ზესტაფონის რაიონი), კ. ნადირაძე და კ. კალაძე (ტყიბულის რაიონი), **რ. ქორქია** და **ე. ასტვაცატუროვი** (ჭიათურის რაიონი), **გ. კაჭახიძემ** და **შ. აფხაიძემ** (სიღნაღის რაიონი), წარმოადგინეს წერილობითი მოხსენება.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ბრიგადებს საერთოდ ჩაუტარებიათ დამაკმაყოფილებელი მუშაობა. თითქმის ყოველ მათგანს გაუმართავს საუბრები კოლმეურნე—გლეხებთან და მუშებთან არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ოქტომბრის დიდი რევოლუციის და სოციალისტური მშენებლობის 20 წლის ბრწყინვალე შედეგებზე, მოუწყვიათ მხატვრული საღამოები ადგილობრივი ძალების მონაწილეობით, დაკავშირებიან სარაიონო გაზეთების რედაქციებს და მათთან ერთად გამოუშვიათ არჩევნებისა და ოქტომბრის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული ფურცლები, ჩაუტარებიათ წინასწარი მუშაობა ლიტერატურული წრეების მოსაწყობად, გასცნობიან კოლმეურნეთა, მუშათა საწარმოო და კულტურულ ყოფაცხოვრებას, შეუსწავლიათ კოლმეურნეობათა და წარმოებათა სტახანოველები და ყოველი ამის შესახებ დაუწერიათ ნარკვევები, ლექსები და დასაბეჭდათ უკვე გადაუციათ რედაქციებისათვის.

ცხადია, ყველა ბრიგადის მუშაობა თანაბრად ინტენსიური და ნაყოფიერი არ ყოფილა და ყველა დავალება თანაბარი გულმოდგინებით არ შეუსრულებიათ. მაგალითად, გორის ბრიგადას ვერ მოუწყვია ვერც ლიტერატურული საღამო, ვერც სარაიონო გაზეთის რედაქციას დაკავშირებია, ასევე თელავის და ზუგდიდის ბრიგადებს ვერ მოუხერხებიათ, რომ ადგილობრივ რედაქციის თანამშრომლებთან ერთად გამოეშვათ არჩევნებისა და ოქტომბრის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული ფურცელი. ეს დავალება კარგად შეუსრულებიათ ზესტაფონის, ჭიათურის, ტყიბულის რაიონებში მივლინებულ მწერლებს. სამაგიეროდ ზესტაფონის ბრიგადას ვერ უსარგებლებია ზესტაფონში მოწვეული დიდი მასიური მიტინგით, რომელზედაც ისინი მოხსენებით და სიტყვებით უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ ამავე ბრიგადებს ცდა არ დაუკლიათ, რომ მათი საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა გავრცელებულიყო რაც შეიძლება ამრჩეველთა დიდ ნაწილზე.

ნივთიერად წელგამართული, პოლიტიკურად და კულტურულად ახალ მაღალ საფეხურზე ასული კოლმეურნე გლეხობა და მუშათა მასები წარმოუდგენელი აქტივობით და უდიდესი აღფრთოვანებით ემზადებიან დიდი ისტორიული მნიშვნელობის აქტისათვის—უზენაეს საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღებისათვის. პირადათ ჩვენზე, ამბობდენ მწერლები, სოფლად ნახულმა და გაგონილმა მოახდინა წარუშლელი შთაბეჭდილება და მოგვცა უდიდესი სტიმული შემოქმედებითი მუშაობისათვის. მწერლები საჭიროთ სცნობენ შემდგომისთვის ასეთი მივლინებები გახშირდეს და მიეცეს მას უფრო ორგანიზაციული ხასიათი.

მოკლე აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ, რომელშიდაც ზემოხსენებულ ბრიგადების წევრებს გარდა მონაწილეობა მიიღეს ამხ. ს. ეულმა, ს. წვერავამ, ვ. გაფრინდაშვილმა და ვ. წულუკიძემ, გადაწყდა, რომ უმოკლეს ხანში მწერალთა აქტივი კვლავ დაუბრუნდეს ამ საკითხს და დაწვრილებით განხილული და შესწავლილი იქნეს როგორც ამ მივლინების გამოცდილება და შედეგები, ისე ამ მივლინებების დროს მიღებული შთაბეჭდილებებით **დაწერილი ნარკვევები.**

ლავრენტი ბერია

ხალხთა ერთიანი ოჯახი

„...მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის— დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს“ (სტალინი).

დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წელი—ეს არის წლები კაცობრიობის ისტორიაში სსრ კავშირის ხალხთა არნახული აღმავლობისა ახალი ცხოვრებისათვის. ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშით დიადი საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი სოციალისტური სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში.

მეფის რუსეთი იყო შავბნელი „საპყრობილე ხალხებისა“. ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკა იყო კოლონიზაციის, დამონებულ ხალხთა შეუბრალებელი ჩაგვრისა და თავაშვებული ექსპლოატაციის პოლიტიკა. ცარიზმი აფერხებდა და ჰბოჭავდა რუსეთის განაპირა მხარეების სამეურნეო ზრდას, იყენებდა რა მათ უმთავრესად როგორც ნედლეულის წყაროებს. ნაციონალურ კულტურათა ყლორტებს, რომლებიც ლამობდნენ გზა გაეკაფათ მეფის თვითმპყრობელობის წყვდიადში, დაუნდობლად ახშობდნენ. „ცარიზმი განზრახ ნერგავდა განაპირა მხარეებში პატრიარქალურ-ფეოდალურ ჩაგვრას იმისათვის, რომ მონობასა და უმეცრებაში ჰყოლოდა მასები“ (სტალინი). ეყრდნობოდა რა ადგილობრივ თავადებს, აზნაურებს, მემამულეებსა და კულაკებს, ცარიზმი შეუბრალებლად უწევდა ექსპლოატაციას ნაციონალური განაპირა მხარეების მშრომელთა ფართო მასებს. განაპირა მხარეების ხალხები განწირულნი იყვნენ სრული უუფლებობისა, სილატაკისა და უმეცრებისათვის, მთელ რიგ შემთხვევებში კი პირდაპირი გადაშენებისათვისაც.

კავკასიის, შუა-აზიის, ციმბირისა და სხვ. დამონებულ ხალხებს არა ერთხელ აუჯანყებიათ თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლის დროშა, მაგრამ მეფის თვითმპყრობელობა სასტიკად უსწორდებოდა აჯანყებულებს, სისხლის მორევში ახრჩობდა მათ, ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა მათს სოფლებსა და ქალაქებს, იკლებდა მთელ მხარეებსა და ოლქებს. თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად ცარიზმი მიმართავდა თავის ნაცად ტაქტიკას — სხვადასხვა ეროვნებათა ერთმანეთზე წასისიანებას.

დიდხანს იტანჯებოდა ცარიზმისა და „თავისი“ თავადების, აზნაურებისა და მემამულეების ქუსლის ქვეშ ქართველი ხალხიც. შეუბრალებლად ახშობდა რა ხალხის თავისუფლების სულ მცირე გამოვლინებასაც კი, მეფის თვითმპყრობელობა ხელოვნურად აფერხებდა მრეწველობის განვითარებას საქართველოში, მიუხედავად მისი უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეებისა. საუკეთესო მიწებს ართმევდნენ გლეხებს კოლონიზატორების დასასახლებლად და საუფლისწულო მეურნეობათა შესაქმნელად. სოფლის მეურნეობა დეგრადაციას განიცდიდა. ძალმომრეობით ახშობდნენ მრავალსაუკუნოვან ქართულ ნაციონალურ კულტურას. ქართველი ხალხის ბრძოლას თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ ცარიზმი და მისი დამქაშები—ქართველი თავადები, აზნაურები და მემამულეები —სასტიკი რეპრესიებით უპასუხებდნენ. ყველასათვის ცნობილია მეფის გენერლების სისხლისმღვრელი ექსპედიციები საქართველოს რაიონებსა და ოლქებში.

ცარიზმის დამხობის შემდეგ, 1917 წელს, ქართველმა მენშევიკებმა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების დახმარებით შესძლეს ძალაუფლების ჩაგდება თავის ხელში. ქართველი ხალხის ამ გამცემელთა სამი წლის პარპაშმა კიდევ უფრო გააუარესა ქვეყნის მდგომარეობა. მენშევიკმა მმართველებმა არა თუ არ განთავისუფლეს საქართველოს მშრომელი მასები, არა თუ არ უზრუნველჰყვეს საქართველოს სახალხო მეურნეობისა და ნაციონალური კულტურის აღმავლობა, არამედ საბოლოოდ მოშალეს ისედაც სუსტად განვითარებული სამეურნეო ცხოვრება, უღალატეს ქართველი ხალხის ინტერესებს დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების სასარგებლოდ, მხარს უჭერდნენ რა საქართველოში თავადებისა და აზნაურების, მემამულეებისა და კულაკების მიერ ჩაგვრას.

მხოლოდ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით პირველად კაცობრიობის ისტორიაში იწყება დაჩაგრულ ხალხთა ნამდვილი განთავისუფლება, იქმნება ჩამორჩენილ ეროვნებათა სამეურნეო და კულტურული აყვავების შესაძლებლობანი და წარმოიშვება სამისო პირობები. საბჭოთა ხელისუფლების 20 წლის განმავლობაში ბრძნული ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების საფუძველზე, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით სსრ კავშირში მოსპობილია წინანდელი უთანასწორობა ეროვნებათა ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში. **საბჭოების ქვეყნის ყველა ხალხი გაერთიანებულია ერთიან დიად, განუყოფელ სოციალისტურ ოჯახად, და ვერავითარი ძალა მსოფლიოში ვერ დაანგრევს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას.**

მეფის რუსეთის ყოფილ განაპირა მხარეთა სამეურნეო და კულტურული აყვავების ერთერთ ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს საბჭოთა საქართველო. საქართველოს მრეწველობა ცარიზმის დროს ჩანასახ მდგომარეობაში იყო. ამიერ-კავკასიის რკინიგზების სახელოსნოებს გარდა თბილისში არ იყო არცერთი ცოტად თუ ბევრად მსხვილი საწარმო თანამედროვე ტექნიკით. იყო მხოლოდ წვრილი შინამრეწველური ან ნახევრადშინამრეწველური საწარმონი წარმოების ძველთაძველი წესებით.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე საქართველოში შეიქმნა მძლავრი სოციალისტური მრეწველობა. ზაჰესის, რიონჰესის, აჭჰესის და ბევრი სხვა უფრო წვრილი სადგურის ელექტროენერგიის მოძრაობაში მოჰყავს მძიმე, მსუბუქი, ადგილობრივი და კვების მრეწველობის ასობით საწარმოს, რომელთაგან ბევრი მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. რეკონსტრუირებულია და დიდად გაფართოვდა საქართველოს მარგანეცის მრეწველობა. სწარმოებს ტყიბულის ქვანახშირის ძველი ბაზის რეკონსტრუქცია და შექმნილია ტყვარჩელის ქვანახშირის ახალი ბაზა, შექმნილია და სწრაფად ვითარდება მრეწველობის ახალი დარგები (დარიშხანი, ბარიტი, ანდეზიტი, ფერადი ლითონები, ნავთი). ელექტროფიცირებულია რკინიგზის ტრანსპორტის ძირითადი მაგისტრალი და გაყვანილია ახალი რკინიგზები და გზატკეცილები, აგებულია ხიდები, რომლებიც სამრეწველო ცენტრებს აერთებენ ნედლეულის წყაროებთან და მჭიდროდ აახლოებენ ერთმანეთთან ქალაქსა და სოფელს.

შექმნილია მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენციის კვალიფიციური კადრები, რომელთაც წარმატებით აითვისეს ახალი ურთულესი მექანიზმები და წარმოების პროცესები. ფართოდ ინერგება და მძლავრად ვითარდება სტახანოვური მოძრაობა.

ძველი ჩინოვნიკურ - მეშჩანური ჩარჩული დაბების ნაცვლად შეიქმნა ახალი სოციალისტური ქალაქები და სამრეწველო ცენტრები ელექტრონით, წყალსადენით, კანალიზაციით, მოასფალტებული ქუჩებით და კომუნალური კეთილმოწყობის სხვა სახეებით.

შეიცვალა ძველი თბილისის — სოციალისტური საქართველოს დედაქალაქის სახე: კავკასიის ხალხთა დამონების ძველი პოლიციურ-ჩინოვნიკური ცენტრიდან, „ეგზოტიკური“ აზიური ქალაქიდან იგი გადაიქცა საქართველოს და ამიერ-კავკასიის უდიდეს სამრეწველო ცენტრად. ახალმა მძლავრმა წყალსადენმა ნატახტარის საუცხოო წყაროებიდან, ქუჩების გატკეცილმა ასფალტმა, ახალმა ფართო მაგისტრალებმა, სანაპირო ქუჩებმა და ხეივნებმა, ტროლეიბუსებმა, ათობით ახალმა დიდმა, არქიტექტურულად კარგად გაფორმებულმა შენობებმა თბილისი ჩააყენეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო, ულამაზეს ქალაქთა მწკრივში. **ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა დიადი რუსი ხალხის დაულალავი დახმარების, საკავშირო მთავრობის მუდმივი მხარდაჭერის, დიდი სტალინის პირადი ყურადღებისა და დახმარების მეოხებით.**

თუ როგორ ხორციელდებოდა სტალინური დირექტივა ჩამორჩენილ ეროვნებათა ფაქტიური ეკონომიური უთანასწორობის ლიკვიდაციისა და მოწინავეთა დონემდე აყვანის შესახებ, ამას მჭერმეტყველურად მოწმობენ ფაქტები. სამრეწველო პროდუქცია სსრ კავშირში 1936 წელს ომამდელ დონესთან შედარებით გაიზარდა 7,3-ჯერ, საქართველოს სამრეწველო პროდუქცია კი ამავე პერიოდში გაიზარდა 18,6-ჯერ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სრულიად გარდაიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობაც. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების სწორად გატარების საფუძველზე მტკიცედ დამკვიდრდა საკოლმეურნეო წყობილება. კოლექტივიზაციამ საქართველოში მიაღწია 76,5 პროცენტს. მაღალ დონეს მიაღწია სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ. ორი ათასზე მეტი ტრაქტორი და ათეულ ათასობით სულ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები მუშაობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე. უძვირფასესმა სპეციალურმა და ტექნიკურმა კულტურებმა— ჩაიმ, ციტრუსებმა, თამბაქომ, ვენახმა და სხვ.—მტკიცედ მოიკიდა ფეხი საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის ნაპირებზე, იქ, სადაც წინათ მინდვრებზე უხვად იზრდებოდა ველური გვიმრა, ახლა საუცხოოდ ჰყვავიან ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, რომლებიც შეადგენენ ქართველი კოლმეურნე გლეხობის შეძლებული ცხოვრების საფუძველს. ჩაის მთელი ფართობი რევოლუციამდე 900 ჰექტარს არ აღემატებოდა. ჩაი მზადდებოდა დაბალი ხარისხის, პრიმიტიული კუსტარული წესით. ამჟამად საქართველოს ჩაის პლანტაციები გაიზარდა 40.000 ჰექტარამდე. საბჭოთა ქართული ჩაი, რომელიც მზადდება 35 სანიმუშოდ მოწყობილ ჩაის ფაბრიკაში, ცნობილია მთელი საბჭოთა კავშირისათვის და ხარისხით არ ჩამოუვარდება ცეილონის საუკეთესო ჯიშებს.

თუ რევოლუციამდე ციტრუსების ნარგავებს (მანდარინს, ფორთოხალს, ლიმონს) აშენებდნენ როგორც იშვიათ მცენარეებს მხოლოდ მეფის სამსახურიდან გადამდგარ ოფიცრების ცალკეულ კარმიდამოებში ან ზოგიერთ მემამულის მამულებში შავი ზღვის სანაპიროზე, ახლა ციტრუსები გახდა კოლმეურნე გლეხობის ერთერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ შემოსავლიან სამეურნეო წყაროდ დასავლეთ საქართველოში, აჭარასა და აფხაზეთში. წელს საბჭოთა კავშირის მშრომელები საქართველოს ციტრუსების პლანტაციებიდან მიიღებენ 300 მილიონზე მეტ ცალ მანდარინს, ფორთოხალს და ლიმონს. ციტრუსების ფართობი საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა 12-ჯერ, ნაყოფის მოკრეფა —დაახლოებით 30-40-ჯერ.

მაღალხარისხოვანი საექსპორტო თამბაქოს საუკეთესო ჯიშები მოდის საქართველოში. საქართველოს 21 ათასი ჰექტარი თამბაქოს პლანტაციები, რომლებიც წლითი-წლობით განუხრელად ამაღლებენ მოსავლიანობასა და ხარისხიანობას, წელს საბჭოთა კავშირის თამბაქოს ფაბრიკებისათვის და საექსპორტოდ მოგვცემენ 18 ათას ტონაზე მეტ თამბაქოს.

მენშევიკებმა საქართველოში თავისი ბატონობის წლების მანძილზე სრულ განადგურებამდე მიიყვანეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი — მევენახეობა. ფილოქსერა ათას ჰექტარობით სპობდა ვაზის პლანტაციებს. ამჟამად დაიწყო საქართველოს მევენახეობის აღმავლობა. მაღალხარისხოვანი ქართული ღვინოები ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. ამხანაგ სტალინის ინიციატივით დაიწყო ყურძნის შამპანური ჯიშების დანერგვა და შამპანურის დამზადება.

მთელი რიგი სხვა უძვირფასესი კულტურები — ტუნგო, ევკალიპტები, ეთეროვანი მცენარეები და სხვ.,—რომლებიც ხარობენ საქართველოს ჰავისა და ნიადაგის პირობებში, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ვითარდება სამრეწველო მასშტაბით. უდიდეს წარმატებებს მიაღწია მეაბრეშუმეობამ.

გრძელდება მეცხოველეობის განუხრელი ზრდა საქართველოში. 1937 წლის 1 იანვრისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 478 ათასი სულით სჭარბობდა 1913 წლის დონეს. **ამ წარმატებებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში საბჭოთა საქართველომ მიაღწია საკავშირო მთავრობის, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხანაგ სტალინის სისტემატური დახმარების, მზრუნველობისა და ყურადღების მეოხებით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების მეოხებით.**

მრავალი ათეული კოლმეურნეობის შემოსავალმა 1936 წელს მილიონ მანეთს გადააჭარბა. წლითი-წლობით იზრდება შრომადღის ღირებულება. კოლმეურნეთა ფართო მასები უკვე გახდნენ შეძლებულ კოლმეურნეებად და განაგრძობენ თავისი მატერიალური კეთილდღეობის განმტკიცებას. ქართველი გლეხისათვის, ახლა კოლმეურნისათვის, წარსულს ჩაბარდა აუცილებლობა—დაეტოვებინა მშობლიური სახლი და წასულიყო შორს საქართველოდან სამუშაოს საძებნელად. ახლა შეძლებულად და მხიარულად ცხოვრობენ საქართველოს ხალხები. ცხოვრება დუღს და გადმოდის. **და საქართველოს მშრომელთა გული აღვსილია სიხარულის გრძნობებით, დიდი მადლობით, სიყვარულითა და ერთგულებით დიდი სტალინისადმი, რომელმაც ქართველი ხალხი მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად შეძლებულ, ბედნიერ ცხოვრებამდე მიიყვანა.**

საქართველო გადაიქცა მოწინავე კულტურის და წერა - კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყნად. ქვეყანა დაფარულია დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლებით, სპეციალური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მრავალრიცხოვანი ქსელით, სადაც სწავლობენ მშრომელთა ასიათასობით შვილები. საშუალო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა წელს 16,5-ჯერ სჭარბობს საშუალო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობას 1915 წელს. საქართველოს 19 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 22 ათასზე მეტი სტუდენტი, რომლებიც ემზადებიან გახდნენ პედაგოგებად და მეცნიერ მუშაკებად, მრეწველობისა და ტრანსპორტის ინჟინრებად, ექიმებად და აგრონომებად, არქიტექტორებად და კომპოზიტორებად. ოცდაათზე მეტი სამეცნიერო დაწესებულება, მეცნიერთა კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფილი, აწარმოებს კვლევით მუშაობას სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. ბევრი ქართველი მეცნიერის სახელი ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში.

ფართო გაქანება მიიღო საბჭოთა საქართველოს ლიტერატურამ, გამოვიდა რა საბჭოთა კავშირის მოწინავე მოძმე ლიტერატურათა რიგებში. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მუდმივმა მზრუნველობამ უზრუნველჰყო ქართველ მწერალთა შეუჩერებელი იდეური და შემოქმედებითი ზრდა. აღიზარდნენ მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატები. მხატვრულად, უტყუარად და წარმტაცად ხატავენ ისინი საქართველოს და ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა იმ ბრძოლის გმირულ ეპოპეებსა და ისტორიას, რომლისაც ისინი აწარმოებდნენ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ, სოციალიზმის გამარჯვებისათვის. **საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველოს მწერლებმა, დასძლიეს და გაანადგურეს რა ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური ტენდენციები, გადაჭრით მობრუნდნენ აქტუალური საბჭოთა თემატიკისაკენ და უკვე იძლევიან სრულფასოვან მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის მეთოდებით ასახავენ დიდი სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, სოციალისტური ინდუსტრიისა და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებას, მუშათა და კოლმეურნეთა ბედნიერ და საამურ ცხოვრებას.**

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მთელი ხალხის შემოქმედებისა და კულტურის მძლავრი აღმავლობის პირობებში გახდა შესაძლებელი გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადების დღიდან 750 წლისთავის აღნიშვნა. მხოლოდ ურღვევი სტალინური მეგობრობის პირობებში გახდა შესაძლებელი სსრ კავშირის ხალხთა ის მჭიდრო კულტურული ურთიერთობა, როდესაც ცალკეულ ხალხთა კულტურის უდიდესი ძეგლები მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილებად ხდებიან, როდესაც უკვდავი რუსთაველის 750 წლისთავის აღსანიშნავად თანაბარი სიყვარულით ემზადებიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში.

საბჭოთა საქართველოს თეატრები სამართლიანად ითვლებიან ერთერთ საუკეთესო თეატრებად საბჭოთა კავშირში. აღიზარდნენ აქტიორთა და რეჟისორთა მნიშვნელოვანი კადრები, რომლებიც დაეუფლნენ სცენიური ხელოვნების ოსტატობას. აღიზარდნენ დრამატურგთა კადრები, რომლებიც ჰქმნიან მაღალმხატვრულ პიესებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის მშრომელთა გმირული ბრძოლის მრავალფეროვან თემატიკაზე. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის რუსთაველის სახელობის თეატრი დგამს პიესას „ნაპერწკლიდან“, რომელიც გვიხატავს ამხანაგ სტალინის ბრძოლას 900-იან წლების დამდეგს ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების განსამტკიცებლად კავკასიაში. პიესაში ნაჩვენები იქნება დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის სახეები. ოპერის და ბალეტის თეატრი დასადგმელად ამზადებს ოპერას ჭაბუკ რევოლუციონერზე, ამხანაგ სტალინის უახლოეს თანამებრძოლზე — ლ. კეცხოველზე.

სტალინური მზრუნველობა სსრ კავშირის ხალხთა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურების ყოველნაირად განვითარებაზე განსაკუთრებული სიცხადით გამოაშკარავდა მსოფლიო პოლიტიკისა და კულტურის გულში—მოსკოვში დიდი სტალინის ინიციატივით მოწყობილი ნაციონალურ ხელოვნებათა დეკადებით. საბჭოთა კავშირის ბედნიერ ხალხებს შესაძლებლობა ჰქონდათ ეჩვენებინათ აქ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობისათვის, დიდი ბელადისათვის თავისი შემოქმედებითი მიღწევები. ქართული ხელოვნების დეკადამ მოსკოვში, რომელმაც ნაწილობრივ გააცნო დიდი დედაქალაქის მშრომელებს ჩვენი მიღწევები ამ დარგში, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობისაგან მაღალი შეფასება მიიღო. შოთა რუსთაველის სახელობის დრამატიულმა თეატრმა და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერის თეატრმა მიიღეს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ჩაეყარა საფუძველი ქართულ კინემატოგრაფიას, რომელსაც უკვე მცირე მიღწევები როდი აქვს. საქართველოს სახკინმრეწვის მთელ რიგ მაღალხარისხოვან კინოსურათებს დიდი წარმატებით აჩვენებენ მთელი საბჭოთა კავშირის კინოთეატრებში. საქართველოს ცალკეულ კინორეჟისორთა სახელებს იცნობენ ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს მშრომელთა ფართო მასები. ამჟამად საქართველოს სახკინმრეწვი წარმატებით ახორციელებს ფილმ „დიადი განთიადის“ დადგმას, სადაც ნაჩვენები იქნება ძველ საზოგადოებაზე მიტანილი დიდი იერიში, განხორციელებული რუსეთის მუშებისა და გლეხების მიერ 1917 წლის ოქტომბერში დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით.

სწრაფი ტემპებით ვითარდება საბჭოთა საქართველოს სკულპტურა და სახვითი ხელოვნება. აღიზარდნენ ყალმის და ფერადების პირველხარისხოვანი ოსტატები, რომლებიც ჰქმნიან დიდ მხატვრულ ტილოებს საქართველოს და ამიერ - კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის, დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემებზე, ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის, მშრომელთა ბედნიერი და საამური ცხოვრების თემებზე. ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენა, რომელიც ეწყობა ოქტომბრის ოცი წლისთავისათვის მოსკოვში ტრეტიაკოვის გალერიაში, წითელი დედაქალაქის მშრომელებს გააცნობს საბჭოთა საქართველოს მხატვრების მიღწევათა ერთ ნაწილს.

ყველა ეს გამარჯვება მუქთად როდი მოიპოვა ქართველმა ხალხმა. ქართველი ხალხის მოსისხლე მტრები—მენშევიკები, ნაციონალ-დემოკრატებისა და სხვათა განადგურებული ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთები, ნაციონალ-უკლონისტებთან—დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის და ქართველი თავადაზნაურობისა და კულაკობის ამ საზიზღარ აგენტურასთან ერთად—ცდილობდნენ ჩაეშალათ საქართველოს ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა. ჯაშუშების, დივერსანტების, მავნებლებისა და მკვლელების კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ-ბუხარინულ ბანდას, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ დასაყრდენს მასებში, განზრახული ჰქონდა აღედგინა კაპიტალიზმი, ჩამოეშორებინა აყვავებული სოციალისტური საქართველო სსრ კავშირის ხალხთა დიადი ოჯახისაგან და გადაექცია იგი იმპერიალიზმის მონურ კოლონიად. მაგრამ ხალხის საზიზღარი მტრები ანგარიშში მოსტყუვდნენ!

საქართველოს ბოლშევიკების კომუნისტურმა პარტიამ, საქართველოს და კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ფუძემდებლის — დიდი სტალინის მიერ გამოზრდილმა, გაანადგურა საზიზღარი ტროცკისტ-ბუხარინული ნაბოლარები და ყოველი ჯურის სხვა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური არამზადები, დაანგრია და მოსპო მათი ბუდეები. შეუბრალებლად ანადგურებს და სპობს რა მავნებლებს, ჯაშუშებსა და დივერსანტებს, სამშობლოს საზიზღარ მოღალატეებს, საქართველოს ბოლშევიკების კომუნისტურმა პარტიამ ხალხის მტრებისადმი ლენინურ-სტალინური შეურიგებლობის სულისკვეთებით აღზარდა ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგული ახალი კადრები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, რომელთაც პარტია გადაჭრით და გაბედულად აწინაურებს ხელმძღვანელ პარტიულ-საბჭოთა და სამეურნეო პოსტებზე.

სსრ კავშირის ხალხები დიდი სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავს ეგებებიან ისეთ პირობებში, როდესაც დამთავრებულია სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში, ლიკვიდირებული არიან ექსპლოატატორული კლასები და მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. მიუვალია საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერება. მშრომელთა უფართოესი მასებისათვის უზრუნველყოფილია ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრება. **მთელი საბჭოთა ხალხის, დიდით პატარამდე, საუკეთესო ფიქრები და გრძნობები მიმართულია იმისკენ, ვისაც თავისი ბრძნული ხელმძღვანელობით, შეუდრეკელი ფოლადისებური ნებისყოფით მიჰყავდა ჩვენი ქვეყანა განუხრელად წინ, ვინც უზრუნველჰყო პარტიისა და ხალხის საზიზღარი მტრების განადგურება, მიმართულია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემომქმედისაკენ — დიდი სტალინისაკენ.** და როდესაც საბჭოთა ხალხი სიხარულით ემზადება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის სტალინური კონსტიტუციის ახალი საარჩევნო კანონით, ყველა მშრომელის პირველ კანდიდატს, ცხადია, ამხანაგი სტალინი წარმოადგენს. თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-სარემონტო ქარხნის ოთხიათასიანი კოლექტივი, სადაც დაახლოებით 40 წლის წინათ ამხანაგმა სტალინმა მოაწყო მუშათა პირველი რევოლუციური წრეები, სავსებით სამართლიანად სწერდა თავის მიმართვაში: **„რომელმა საარჩევნო ოლქმაც უნდა გაგგზავნოს შენ, ამხანაგო სტალინ, სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში — შენ იქნები მთელი მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნისაგან არჩეული“.**

თერთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის მწკრივში, რომლებიც განუყრელად არიან შეკავშირებულნი ხალხთა სტალინური მეგობრობის ერთ დიად კავშირად, საბჭოთა საქართველოს მაღლა უჭირავს ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა და გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიდის. ქართველი ხალხი, მჭიდროდ დარაზმული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის ირგვლივ, ყოველ მომენტში მზად არის გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ყველა მტერს ჩვენი დიადი სამშობლოს თვალუწვდენელი საზღვრების ყოველ უბანზე.

„პრავდა“, 1937 წ. 7 ნოემბერი.

რევოლუციის პოეტი

ეჟენ პოტიე

(1816—1887—1937).

„ვერსალელებს შეუძლიათ გულდამშვიდებულნი იყვნენ, მათი ხსოვნა დარჩება: მათ იპოვეს თავიანთი იუვენალი!“—ასე სწერდა ანრი როშფორი წინასიტყვაობაში, რომელიც უძღვოდა ეჟენ პოტიეს „რევოლუციური სიმღერების“ წიგნს, გამოცემულს 1887 წელს პარიზის კომუნის მონაწილეთა მიერ.

მართლაც, არც ერთს პოეტს მსოფლიო პოეზიაში არ შეუქმნია ისეთი მძლეგარებით, რისხვით და შურისძიების წყურვილით გაჟღენთილი ლექსები ვერსალის ჯალათების წინააღმდეგ, როგორიც შექმნა „ინტერნაციონალის“ უკვდავმა ავტორმა და არა მარტო ტიერისა და გალიფეს— სისხლისმსმელ ძაღლებს აუგო თავისი სიმღერებით სამარცხვინო ძეგლი დიდმა რევოლუციონერმა-პოეტმა; არა მარტო სედანის ბრძოლის ველიდან ლაჩრულად გამოქცეული და პარიზის უმწეო ბავშვებისა და ქალების წინაშე გამამაცებული „გმირები“ „შეამკო“ თავის მწვავე პამფლეტებში შესანიშნავმა კომუნარმა, — არა, მან საშქაროზე გამოიყვანა მთლიანად ბურჟუაზია და მისი საზოგადოებრივი წყობილება, აგებული მილიონთა ცრემლსა და სისხლზე, მონურ ჩაგვრასა და ექსპლოატაციაზე.

ორმოცდაათმა წელმა განვლო ეჟენ პოტიეს გარდაცვალებიდან და დღეს მისი ხსოვნის წინაშე პატივისცემით ქედს იხრის მთელი პროგრესიული კაცობრიობა, საერთაშორისო მუშათა კლასი და მასთან ერთად ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი მშრომელი ხალხი, რომელიც სხვადასხვა ენაზე მღერის მისი უკვდავი „ინტერნაციონალის“ ბრძოლის პათოსით ანთებულ სიტყვებს:

„ეს არის ჩვენი მედგარი
გადამწყვეტი ბრძოლა —
ინტერნაციონალში
ჰპოვებს შვებას ყველა!“

იშვიათია მსოფლიო პოეზიაში პოეტი, რომლის სიტყვა და საქმე ისე ყოფილიყოს შეხამებული, როგორიც მაგალითსაც წარმოადგენს ეჟენ პოტიეს ცხოვრება და შემოქმედება. იგი დაიბადა 1816 წელს პარიზში, მუშის ოჯახში. თითონ მან განვლო პროლეტარის მძიმე და მკაცრი ცხოვრების სკოლა. ჯერ კიდევ ადრინდელ ლექსებში გამოხატა მან მშრომელი ხალხის უნუგეშო ხვედრი და მკაფიოდ გამოსთქვა აგრეთვე მასების რევოლუციური განწყობილება. ჯერ კიდევ 1848 წელს იგი იბრძვის ბარიკადებზე. ამავე დროს თავის ლექსებს, სიმღერებსა და პამფლეტებში მოუწოდებს მუშათა კლასს ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ივნისის აჯანყების დამარცხების შემდეგ ეჟენ პოტიეს მიუსაჯეს სიკვდილი, მაგრამ იგი თავს აღწევს ჯალათებს და უფრო მეტის სიმძაფრით აღვივებს თავისი ლექსებით მუშათა კლასის რევოლუციურ სიძულვილს და ბრძოლის ენერგიას მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

1866 წელს ეჟენ პოტიე შედის პირველ ინტერნაციონალში, როგორც წარმომადგენელი ქსოვილის მომხატველ მუშათა პროფესიული კავშირისა,—თვით პოტიე ქსოვილზე ხატვის დახელოვნებული ოსტატი იყო.

საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს მან სხვებთან ერთად მოაწერა ხელი გერმანიის სოციალისტებისადმი მიმართულ ომის საწინააღმდეგო მოწოდებას. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო კომუნის მომზადებაში, ხოლო კომუნის გამარჯვების შემდეგ: როგორც კომუნის წევრმა, მთელ რიგ სოციალურ-პოლიტიკურ ღონისძიებათა გატარებაში. ამ დროს ეჟენ პოტიე 55 წლის ჰასაკში იყო. ხანდაზმულობამ მას ხელი არ შეუშალა, რომ კომუნისათვის თავგანწირულად და ვაჟკაცურად ებრძოლა ბარიკადებზე. მაგრამ კომუნა დამარცხდა, ვერსალელები შეიჭრნენ პარიზში...

„ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა...
კვლავ ქვეყნისა მჩაგვრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა“.

(ი. ჭავჭავაძე — „1871 წელი 23 მაისი“).

ეჟენ პოტიე იატაკქვეშ შეეფარა. 1871 წლის ივნისში იგი სწერს თავის „ინტერნაციონალს“—უკვდავ ლექსს, სოციალური პოეზიის ერთ უდიდეს ნაწარმოებთაგანს ისტორიაში. 1871-1880 წ. წ. ეჟენ პოტიე იმყოფება ემიგრაციაში, ჯერ ლონდონში, შემდეგ ამერიკაში. იქ იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს მუშათა სოციალისტურ მოძრაობაში. ამავე დროს იგი განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას — სწერს სოციალურ მოტივებზე სიმღერებსა და პამფლეტებს.

1880 წელს, ამნისტიის შემდეგ, ბრუნდება სამშობლოში, მოხუცებული, დაშლილ-დაცემული. სამშობლოში იგი კვლავ მუშათა პარტიის რიგებში დგება და პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად ჰქმნის პოლიტიკური პოეზიის მთელ რიგ შედევრებს. თემატიურად იგი ძალიან ხშირად უბრუნდება პარიზის კომუნის დაუვიწყარ დღეებს, კვლავ ზიზღით იხსენებს ვერსალის ჯალათებს, იგონებს სისხლიან კვირას, დახვრეტილ ბავშვებს, ქალებს, კომუნის ბარიკადებზე დახოცილ გმირებს, დაუვიწყარ აჩრდილებს, რომლებმაც თავი დასდეს მუშათა კლასისათვის. მას ხშირად ესახება გმირთა აჩრდილები, როგორიც მაგალითად, „Идущий на смерть Делеклюз с челом непокорным своим“... ეს აჩრდილები კვლავ მოუწოდებენ მშრომელებს შურისძიებისაკენ („კომუნართა ძეგლი“).



ეჟენ პოტიე გარდაიცვალა 1887 წლის 6 ნოემბერს. მისი ნეშთი მოწიწებით გააცილა პარიზის მრავალათასიანმა მუშათა კლასმა პერლაშეზის სასაფლაომდე, სადაც სამუდამო სავანე ჰპოვა რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნმა.

„ინტერნაციონალი“ ბევრჯერ იქნა ქართულად თარგმნილი სხვადასხვა პოეტის მიერ. პირველი თარგმანი ეკუთვნის აკაკის. ქნარით შემოსილმა მგოსანმა 1905 წლის რევოლუციის ქარიშხალში მრავალი ლექსი უძღვნა ბარიკადებზე მებრძოლ მუშათა კლასს; ეს ლექსები გამსჭვალულია უდიდესი მოქალაქეობრივი გამბედაობით, ნამდვილი რევოლუციური განწყობილებით, გულწრფელი და შეურიგებელი სიძულვილით თვითმპყრობელური რეჟიმისადმი („ნატვრა“, „ხანჯალი“, „ძირს“ და სხვ.). ამ ხანებში მოხუცმა აკაკიმ საჭიროდ დაინახა აგრეთვე ეთარგმნა საერთაშორისო მუშათა კლასის საყვარელი ჰიმნი — ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალი“. და ეს ლექსი მან სთარგმნა თავისებურად, „აკაკურად“—იგი იწყება ასეთი ტაეპებით:

„აღსდგეთ ყოველი მხრის მუშავ!
გაიღვიძე პროლეტარო!
ჩვენვე უნდა მოვუპოვოთ
ჩვენ თავს აწ დრო სანეტარო!..

უნდა მტერი დავამარცხოთ,
ძალმომრევი უსამართლო!
რა გვაქვს მასთან ჩვენ საერთო,
საკვირველო, ან სამადლო?

ეს იქნება საბოლოო
შეტაკება, მწარე ომი!..
და თუ ვძლიეთ, ჩვენთან ერთად
გაიხარებს ყველა ტომი“...1).

„ინტერნაციონალის“ თარგმანის რამდენიმე ვარიანტი გაუკეთებია აგრეთვე იროდიონ ევდოშვილს. ეს თარგმანებიც 1905 წლით არის დათარიღებული. თანამედროვე პოეტებიდან „ინტერნაციონალი“ სთარგმნეს ვალერიან გაფრინდაშვილმა, ს. ფაშალიშვილმა და სხ.

გარდა „ინტერნაციონალისა“, ქართულად ითარგმნებოდა ეჟენ პოტიეს სხვა ნაწარმოებნიც.

სხვადასხვა ლექსების თარგმანები ეკუთვნის სანდრო ეულს, ვალერ. გაფრინდაშვილს, ალიო მაშაშვილს და სხ.

კარგი იქნებოდა ამ თარგმანების შეკრება და ახალ თარგმანებთან ერთად ცალკე წიგნად მიწოდება ჩვენი ფართო მკითხველისათვის. უკვდავი კომუნარი-პოეტის შემოქმედება მაშინ უფრო თვალსაჩინო და ახლობელი გახდებოდა ჩვენთვის2).

ლ. ა.

---

1) დაბეჭდილია „პატარა გაზეთში“ № 1 — 1906 წლის 1 იანვარს (იხ. აკაკის რჩეული ნაწერები, ტ. 4. გვ. 126).

2) აქვე საჭიროდ მიგვაჩნია დავსვათ საკითხი „ინტერნაციონალის“ ამჟამად სასიმღეროდ მიღებული ქართული ტექსტის გადასინჯვისა, მისი დაზუსტების და პოეტური კვალიფიკაციის აწევას თვალსაზრისით.

უმუშევრობა

ეჟენ პოტიე

**დადგა ქარხანა. მტერი მზად არი
წაგვართვას პური, წაგვართვას შეშა,
მოდის სიკვდილით ცივი ზამთარი
რომ თან წაიღოს, თუ რამე შეგვრჩა.**

**მძიმე დროებამ არ გაგვახარა,
ჩამოდგა ნისლი, ქარი გრიალებს,
მე ვინახულე ყველა ქარხანა,
პარიზს ბევრჯერ შემოვიარე.**

**ვეღარ გადურჩი დამღუპავ ვალებს,
ბინის ანგარიშს ვუცქერი შიშით,
მეუბნებიან: „შემოდი ხვალე“,
მაგრამ ამ „ხვალეს“ ვერ ეტყვი შიმშილს.**

**მდიდარი გვაძლევს დაცინვით რჩევას:
— თქვენ არ იწევით შრომას და ამაგს,
ფუტკარს არ უჭირს ოჯახის რჩენა,
რადგან ზაფხულში ინახავს მარაგს.**

**რა შევინახო? ეს რჩევა მიკვირს,
თუ მშიერი ვარ და ვალი მბოჭავს,
ჩემი ხელფასი თუ ორი კვირის
პურის ფულადაც არ ჰყოფნის ოჯახს.**

**ჩვენ მანსარდაში გამეფდა სევდა,
და უსადილოდ ხომ ხშირად ვრჩებით,
ამაოდ ცდილობს საბრალო დედა,
ღამე ბავშვები გაათბოს ჩვრებით.**

**ვეღარ მოხუჭეს უძილო თვალი,
აღარც თენდება, სხივები არ ჩანს,
უკანასკნელი საბანი, შალი,
მონ-დე-პიეტში გირაოდ დარჩა.**

**და მაგონდება ცქრიალა, ლაღი,
შარშან საფლავში რომ დავაწვინე;
ძნელად იზრდება პატარა ბალღი,
თუ დედას შრომა დაატყდა მძიმე.**

**ვშიშობ, ამ ჩემი ბალღების გზაზე
გადაშლილია სიკვდილის ბადე;
ვინც დარჩა, იმათ მთელ გრძნობას
ვაძლევ,
მინდა გავუხსნა ცხოვრება ფართე.**

**დატვირთულები ოჯახით, ვალით
ხშირად ღვინოში ახრჩობენ სევდას,
წამოიჩიტა დღეს ჩემი ქალიც
და ამათრთოლა ქალწულის ბედმა.**

**თექვსმეტი წლისას სურს სტუმრად
წასვლა,
უნდა საკაბე, ძველს ვეღარ იცვამს,
და ვაი მაშინ, თუ ფულის ნაცვლად
უმანკოება კაბაში მისცა.**

**თავი მომძულდა და ხშირად ღამით
ქალაქის ხიდზე მე ვდგები მარტო,
ბურჯის კლდეებთან ტალღები ბღავის
და [illegible] სტიქიას ფართოს:**

**შავო უფსკრულო, ტალღებო მსრბოლო
ადამიანის ბედს ხომ არ სჩივის?
ქვითინებ მუდამ, როგორც ობოლი,
და ოხვრავ, როგორც საბრალო ქვრივი.**

**დადგა ქარხანა. ბედი მზად არი
წაგვართვას პური, წაგვართვას შეშა,
მოდის სიკვდილით ცივი ზამთარი,
რომ თან წაიღოს თუ რამე შეგვრჩა.**

თარგმანი მიქელ პატარიძის.

სოციალისტური ეპოსისათვის

„მწერალი ადამიანის
სულის ინჟინერია".
ი. სტალინი.

ცალკე წიგნად გამოვიდა ალიო მაშაშვილის პოემა „ენგური".

რით იქცევს ყურადღებას ეს პოემა? რა პრობლემები დასვა პოეტმა და როგორ შესძლო მათი გადაწყვეტა? რა მხატვრულ დონეზე დადგა მისი ავტორი? პოემამ მიიტანა თუ არა ახალი აგური პოეზიის მაღალ მწვერვალზე ასასვლელ კარებთან? და, რაც მთავარია, როგორ ჩასწვდა პოეტი დიდი **სტალინის** შემოქმედებითი გენიით შთაგონებულ და გამთბარ სოციალისტურ ცხოვრებას და ამ ცხოვრებაში მომქმედ ადამიანებს?

ყოველ ეპოქაში ზეალმავალი ხაზი ლიტერატურაში იწყებოდა ახალი ტიპის შექმნით. მხოლოდ ლიტერატურული ტიპების საშუალებით შეუძლიან მწერალს მხატვრულად მისწვდეს ეპოქის სულს. მაჯისცემა ეპოქისა ყოველთვის მჟღავნდება ამ ეპოქაში მომქმედი ადამიანების ფსიქოლოგიაში. ვინც ყურს უგდებს ამ მაჯისცემას და სცდილობს მის მხატვრულ გამოსახვას, იგი გვერდს ვერ აუხვევს ცოცხალ ადამიანს, რომელიც თვით არის აქტიური შემოქმედი ეპოქისა. მაგრამ ეს მხატვრული ასახვა ადამიანისა უნდა წარიმართოს არა პორტრეტის, არამედ ზოგადი ადამიანის (რომელშიაც სინთეზის გზით შედიან კონკრეტული ადამიანები) შექმნის გზით. თვითეული მოვლენა, თვითეული ადამიანი ცალკე აღებული ხელოვანს არ უნდა მიაჩნდეს საკმარისად მხატვრული სახის შექმნისთვის; იგი მხატვრული ხილვით უნდა იძლეოდეს სინთეზს ისეთი მოვლენებისას, რომლებიც ერთად აღებულნი გამოხატავენ ახალ თვისებას რომელიმე დიდი მოვლენისას ან დიდი პიროვნებისას. თუ ადამიანთა შემომქმედი მოვლენათა და საგანთა ასახვის დროს მიდის ასახვის ობიექტის იქით, რათა ტიპიურ გარემოში, ტიპიურ ურთიერთობაში შექმნას ამ ეპოქის ზოგადი ტიპი, მაშინ ადვილია ეპოქის მაჯისცემის მხატვრული დამორჩილება.

მაგრამ ლიტერატურის ყველა ჟანრს ერთნაირად როდი შეუძლია ამ საპასუხისმგებლო ამოცანის გადაწყვეტა! მაგალითად, ლირიკული ჟანრი შედარებით სუსტია ამ საქმეში. ჩვენ ამით არ გვინდა გული აუცრუოთ მკითხველს ლირიკულ პოეზიაზე. ლირიკა დღეს საჭიროა არა ნაკლებ, ვიდრე ოდესმე, იგი ფრიად სერიოზული გვარია ლიტერატურისა. მხატვრული შთაგონებით დაწერილი ლირიკული ლექსი არა ნაკლებად მჭრელი იარაღია მკითხველზე ემოციონალური ზემოქმედებისათვის. მაგრამ უდავოა, რომ ყოველი ეპოქის დიდი მწერლობა დაკავშირებული იყო ეპოსთან. ეპოსს, სხვა ჟანრებთან შედარებით, შესწევს მეტი ძალა ეპოქის სუნთქვის სრულყოფილად გამოხატვისათვის; მას აქვს უნარი უშუალოდ მიიღოს ეპოქის შთაგონება და მისი სითბო. რასაკვირველია, მარტოოდენ ჟანრი როდი განსაზღვრავს მის ძალასა და მოქნილობას. საჭიროა, ჯანსაღ ჟანრს ორგანიულად მიემატოს თვით მწერლის შემომქმედი ძალა, მისი ნათელი იდეები, აზრი, ფიქრი, გრძნობა და მისწრაფება.

სამწუხაროდ, პოეტურ ეპოსს დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა; ამ ნიადაგზე ლიტერატურული ტიპის შექმნისათვის ბრძოლა არ თამაშობდა პირველხარისხოვან როლს, პოეტები ტიპს იძლეოდნენ მხოლოდ პორტრეტის შექმნის ხარჯზე.

სტალინური ეპოქის ადამიანები, რომლებმაც სახელი გაითქვეს სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბანზე, თხოულობენ მხატვრულ ასახვას, მაგრამ, როგორც ზემოთ განვაცხადეთ, ეს ასახვა არ უნდა წარიმართოს ინდივიდუალური პორტრეტის შექმნის გზით. საბჭოთა მწერალმა თითოეულ გამოჩენილ ადამიანში უნდა მონახოს ის თვისება, რომელიც ამ ადამიანს ორგანიულად აკავშირებს ეპოქის მაჯისცემასთან. ამ თვისებათა მხატვრული შერთების გზით შემომქმედმა უნდა მოგვცეს ზოგადი ლიტერატურული გმირი, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ჩვენი დროისათვის.

ალიო მაშაშვილის პოემა „ენგური" წარმოადგენს უძლიერეს ცდას ტიპების შექმნის გზით ჩვენი, სოციალისტური ცხოვრების ერთი მხარის მოცემისათვის. ამბავი იშლება ენგურის ქაღალდის ქარხნის მშენებლობის ფონზე. პოემის შესავალში პოეტი იძლევა საქართველოს ერთი უმშვენიერესი მხარის ენგურის ხეობის შესანიშნავ მხატვრულ სურათებს:

„აქ არც სილურჯე, არც სიმწვანე,
არც მზის პირი სჩანს, არც ცის ტატნობი,
თან ისე ბნელა და სიწყნარეა,
რომ მიწას ბრუნვაც არის საგრძნობი!
მუდამ ბნელი და ხუთასწლოვანი
მოსჩანს ფოთლების, ცა დაღრეშილა,
ძირს ეცემიან ცვარნი ციურნი
ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავებივით.
მხოლოდ ხანდისხან ქარის სისინი
ტყეს შეაძრწუნებს, ხეთა ზარბაცით
გადმოშვება ციდან მზის სხივი
და ბნელეთს გასჭრის, როგორც ალმასი".

პოეტის გადმოცემით, ენგურის ლამაზი ხეობა მხოლოდ საფარი იყო „მუნ შეხვეწილი ნადირისა"; აქ ხანდისხან ჩამოდიოდნენ სვანი მწყემსები და მონადირენი. აქვე ოდესღაც თავისი რაზმით თავს აფარებდა სახელგანთქმული უტუ მიქავა. ენგურის ხეობა დადიანების საკუთრებას შეადგენდა და „სხვა დანარჩენი მოსახლეობა ვერც გაივლიდა ამ ტყის მახლობლად".

აი აქ, ამ უდაბურ ტყეში, მოვიდა საბჭოთა ქვეყნის ადამიანი და თავისი ძლიერი ხელი აღმართა ბუნების ძალთა დასამორჩილებლად. სტალინური ეპოქის მამაცმა შვილებმა აქ, ამ უდაბურ ტყეში წამოაქციეს ხუთასწლოვანი გოლიათი ხეები, რათა „ხვალეც იგი ხე გადაიშალოს სოციალისტურ წიგნის ფურცლებად".

ასეთია პოემა „ენგურის" პროლოგის ფონი. შემდეგ თავებში პოეტი ცდილობს გვაჩვენოს მომქმედი ადამიანები. კონტრასტების გზით ალიო მაშაშვილი ჰქმნის ადამიანების ორ ზოგად ტიპს. ბურდღუ შელია და ბესა ბეკია—ორი სხვადასხვა ქვეყანაა; თითოეულის ჭირსა და ლხინს ცალკე ლობე ავლია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ბურდღუ შელიას დღენი ჯერ კიდევ გასავლელი მინდორია, ბესა ბეკიასი კი—უკვე განვლილი. ერთი ისტორიის შემომქმედია, მეორე კი მისგან გარიყული. პირველი აქტიური მებრძოლია სოციალიზმისათვის. მეორე კი — მისი მოსისხლე მტერი.

ბესა ბეკიას ტიპის შესაქმნელად ალიო მაშაშვილი მიმართავს, ერთი მხრით, ყოფითი ელემენტების მხატვრულ ასახვას; მეორე მხრით — გვიძლევს ამ ტიპის ურთიერთობას სხვა ადამიანებთან, გარემოსთან, სადაც ხაზგასმულია მისი მისწრაფება ადამიანთა ექსპლოატაციისადმი. ბესას სახით პოეტმა სცადა კულაკის კლასიკური ტიპის შექმნა. მართალია, ზოგჯერ მხატვრული ფერები მკრთალად გადმოსცემენ ამ ტიპის ზოგიერთ თვისებას, პოეტს იპყრობს სქემატიზმის ელემენტები (განსაკუთრებით იგი იგრძნობა პირველ ნაწილში), მაგრამ ყოფითი რეალები ისეთი მხატვრული ძალით არის აღწერილი, რომ ზემოთ დასახელებულ ნაკლს ჩრდილავს. პოემაში ეპიური სიდინჯით არის გადმოცემული ბესას შინაგანი, ფსიქოლოგიური სამყარო, სადაც ესოდენ ძლიერი იყო ექსპლოატაციისადმი მისწრაფების სურვილი. ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ ამ ადამიანების ველურ სურვილს გზა გადაუჭრა; ამით აიხსნება ბესას სიძულვილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი:

„ტყას სახელმწიფოს ძველი მოპყრობილი
რად არ იქნება გულგატეხილი?
რევოლუციის წელი ყოველი
თავზე ატყდება ელვა-მეხივით".

იგი სცვლის ბრძოლის ფორმებს, ნიღაბს იკეთებს. ერთ მშვენიერ დღეს ბესა თხოვნით გამოცხადდება ბურდღუ შელიასთან (რომელიც ხეტყის სამუშაოთა უფროსად ითვლება); პირად საუბარში ბესამ ქარაგმული ფორმით თავის უმწეო მდგომარეობაზე ჩამოუგდო სიტყვა:

„აი ენგური, ნაპირ ლოდია,
ჩვენი ცხოვრებაც მას გავს, ბატონო,
ადამიანი ნავი როდია,
ნაპირს მივაბათ და მივატოვოთ".

ბოლოს იგი ახერხებს სამუშაოზე მოწყობას. თავის საქმიანობას ამ დარგში იმით ამთავრებს, რომ წინასწარ მოფიქრებული გეგმით მოჭრილ უზარმაზარ ხეს დასცემენ ბურდღუ შელიას. ხის დაცემამ ბურდღუს მარცხენა ფეხი შეიწირა.

აქ მთავრდება პოემის პირველი ნაწილი და იწყება ამბავი შესანიშნავი ადამიანის—ბურდღუ შელიასი. პრობლემათა სიღრმით და პოეტური კულტურის სიმაღლით პოემის მეორე ნაწილი წინ სდგას—შედარებით პირველ ნაწილთან. აქ, ჩვენ ვკითხულობთ პოეზიით აფერადებულ მღელვარე აზრებსა და გრძნობებს. ალიო მაშაშვილმა შესძლო შესანიშნავი ბოლშევიკის ბურდღუ შელიას ცხოვრების ბრწყინვალე გამოხატვა.

ბურდღუ შელია სოფლიდან მოვიდა ინდუსტრიის ამ კერასთან — უკვალიფიკაციო, შესაფერ ცოდნას მოკლებული. ბოლოს იგი გახდა კვალიფიკაციური ოსტატი, შეგნებული მებრძოლი სოციალიზმის გამარჯვებისათვის. ბურდღუ შელიამ კარგად იცის, რომ პატიოსანი შრომით, პირადი ნიჭით და სამშობლოსადმი ერთგულებით მას შეუძლიან დაიმსახუროს სიყვარული. ამ გზაზე იგი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ხალხისადმი; ხალხის ნდობას იგი საკუთარ თვალისჩინივით უფრთხილდება. მას ღრმად სჯერა, რომ მხოლოდ „ხალხია უკვდავი, ყოველივე დანარჩენი წარმავალია ამიტომ უნდა შევიძლოს ხალხის ნდობის დაფასება" (სტალინი). ბურდღუ შელია ერთგულად ემსახურება სოციალიზმის უკვდავ საქმეს. ეს საქმე მის ცხოვრებაში ყოველგვარ პირადულზე მაღლა სდგას. მას ღრმად სწამს, რომ ყოველი პატიოსანი პარტიული და არა პარტიული ბოლშევიკისათვის არ შეიძლება იყოს უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე საბჭოთა ხალხისათვის ბრძოლა ლენინ-სტალინის დიადი დროშის ქვეშ. ამ აზრით და იდეებით შთაგონებული ბურდღუ შელია ერთ-ერთი შესანიშნავი მშენებელთაგანია სოციალიზმისა.

მაგრამ „ბედმა" უმუხთლა და მარცხენა ფეხის დაკარგვამ ეს შესანიშნავი, მოწინავე ადამიანი წინა რიგებს ნაწილობრივ ჩამოარჩინა. ბურდღუ შელიას ხანდისხან ეჩვენება (რა თქმა უნდა, უსაფუძვლოდ), თითქოს საკუთარმა ამხანაგებმაც მიატოვეს, მიატოვა ყველამ, ვისთვისაც კი ბურდღუ შელია წარსულში აგრე ძვირფასი და მუდამ მახლობელი ადამიანი იყო:

„დარჩა, დაღონდა თვალხაღვლიანი,
დაეშვა ჯოხზე გულდაბჟენილი,
დაღონდა, როგორც მგზავრი გვიანა,
მგზავრი ქარავანს ჩამორჩენილი!"

სწორედ ამ ეტაპიდან იწყება ბურდღუ შელიას პირადი ტრაგედია. რა თქმა უნდა, ამ ტრაგედიას საერთო არაფერი აქვს ძველ, ბურჟუაზიულ პიროვნების ტრაგედიასთან, რომელიც თავის საწყისს იღებდა ინდივიდუალიზმში. იგი არსებითად გამოწვეული იყო გადაჭარბებული თავმოყვარეობით, ერთი მეორისადმი შურით და მტრობით, სულიერი ავადმყოფობით, უპერსპექტივობით.

ბურდღუ შელიას სატკივარი სულ სხვაა. მისი სულიერი ტკივილი შედეგია იმ წინააღმდეგობისა, რომელიც არსებობს სურვილსა და შესაძლებლობას შორის. ბურდღუ შელია მზად არის მთელი თავისი სიცოცხლე მისცეს სოციალიზმის დიად საქმეს. მას უნდა შრომა, მოქმედება, მაგრამ ფიზიკური მდგომარეობა ხელს უშლის ამ ამოცანის დაძლევას. აქ იწყება კონფლიქტი მისწრაფებასა და შესაძლებლობას შორის:

„თურმე სჯობია ათასთან ბრძოლა,
ვიდრე საკუთარ „მესთან" გასწორდე,
კაცი დაკარგავს ყოველგვარ გრძნობას,
თავდაცვის გრძნობას კი არასოდეს!
როგორ მსურს ვიყო დაუცხრომელი,
კვლავ გამიტაცოს ხარბმა ბრძოლამ,
მეწოდოს გმირი ახალ ცხოვრების
და ვაკეთებდე ხალხის მომავალს!"

ფეხმოტეხილმა ბურდღუ შელიამ, როგორც თითონ ფიქრობს დაკარგა საზოგადოებრივი ფუნქცია. და აი ყველაზე მეტად მას სტანჯავს ეს. ამ ტანჯვაში ოცნებით უკან იხედება; იგონებს ენგურის ტალღებთან გატარებულ ბავშვობას:

„მახსოვს ჩემი ბავშობა,
სიხალისე, სინაზე,
შენს ტალღებთან ბაასი,
შენს ნაპირზე ოცნება,
შენს ხეტიალს, სიარულს
ამ სამშობლო მიწაზე
ტანში ვგრძნობ და განვიცდი,
როგორც სისხლის მოქცევას".

ბურდღუ შელია იგონებს იმ დღეს, როდესაც მოწინავეთა რიგებში იდგა და პარტიის დავალებით დიდ მოვალეობას ასრულებდა. ბოლოს ისევ საკუთარი ფიზიკური სინამდვილე თავისი სასტიკი სახით დადგა ბურდღუ შელიას წინ... და იგი მზად არის გაექცეს ცხოვრებას.

სწორედ იმ მომენტში, როდესაც ბურდღუ შელია თვითმკვლელობაზე ფიქრობს, ენგურის ქაღალდის ქარხანა უკვე იძლევა პირველ პროდუქტს. ქარხნის გახსნა დაუკავშირდა სოციალიზმისათვის თავდადებული ადამიანების ორდენებით დაჯილდოებას. დაჯილდოებულთა შორის პირველად ნახსენებია ბურდღუ შელიას სახელი. გახარებული მოხუცი—ბურდღუ შელიას მამა შემოიჭრება შვილთან და მიულოცავს გამარჯვებას. ნათქვამია, დიდ ტკივილს მხოლოდ დიდი სიხარული დააყუჩებსო. ასე დაემართა ბურდღუ შელიასაც. იგი მზად არის ყველაფერი პირადი დაივიწყოს, ოღონდ იცოცხლოს ხალხის საქმეში.

„ქაღალდი? უკვე? ეს რამ გვაღირსა,
ეს ხომ პირდაპირ სასწაულია!
მაშ ამდენ ჯაფას მშრომელ ხალხისას
სჩანს უშედეგოდ არ ჩაუვლია".

ბურდღუ შელიას მოხუცი მამა შვილს უამბობს ქარხნის გახსნისა და საქართველოს მშრომელი ხალხის სახელოვან ხელმძღვანელ **ლავრენტი ბერიასთან** შეხვედრის ამბავს:

„უსმენ და გჯერა: რომ ამბობს მართალს,
ჯანი შემმატა მისმა გაცნობამ,
კაცი ნამდვილად ქვეყანას მართავს,
მართლაც-აფერუმ მის ვაჟკაცობას".

პოემის ეპილოგში მოცემულია ბუნების სტიქიის დამორჩილება ხალხის მიერ და მისი ჩაყენება ხალხისავე სამსახურში. პოემა მთავრდება ეპოსისათვის დამახასიათებელი დინჯი, ვაჟკაცური, მაგრამ პოეზიის მხატვრული ფერებით შემკული სტროფით:

„იყო სალამო სურნელოვანი,
მეგრულ ატლასში იწვა ზუგზული
და ცისარტყელა სრულფეროვანი
ელავდა ცაზე გამოსახული".

პოეტი ალიო მაშაშვილი პოემა „ენგურით" ქართველი მკითხველი საზოგადოების წინაშე წარსდგა, როგორც დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობის მქონე პოეტი. ერთგვარი სიძუნწე, რომელსაც „ენგურის" ავტორი წარსულში იჩენდა ლექსების წერის დროს, მან გამოიყენა დიდი პოეტური ნახტომისათვის —ლირიკული ამღერებიდან ეპოქის მხატვრული გამომსახველი ეპოსისაკენ. რეალისტური ალღო და ზომიერების გრძნობა, რომელსაც ალიო მაშაშვილი იჩენს ტიპებისა და მხატვრული სურათების შექმნის დროს, უეჭველად თავდებია იმისა, რომ პოემა „ენგური" სოციალისტური ეპოსის შექმნის გზაზე წინ გადადგმული სერიოზული ნაბიჯია.

დ. ბენაშვილი



აკოპ აკოპიანის ხსოვნას

გარდაიცვალა აკოპ აკოპიანი — უხუცესი სომეხი პროლეტარული პოეტი.

არა მარტო სომხეთის ხალხი, არამედ მთელი ამიერკავკასიის მშრომელები კარგად იცნობენ და აფასებენ აკოპ აკოპიანს როგორც სომხური პროლეტარული პოეზიის პიონერს, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ემსახურებოდა მუშათა კლასის განთავისუფლებისა და სოციალიზმის გამარჯვების საქმეს.

მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსულმა პოეტმა თავისი ცხოვრება და შემოქმედება ახალგაზრდობიდანვე მჭიდროდ დაუკავშირა მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას. 1904 წლიდან აკოპ აკოპიანი შედის ბოლშევიკთა პარტიაში და აქტიურად მონაწილეობს არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში.

აკოპ აკოპიანის პოეზია გამსჭვალულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეით. ერევნის, ბაქოსა და თბილისის მუშათა კლასის რიგებში აღზრდილი პოეტი თავისი კალმით ხელს უწყობდა ამიერკავკასიის მოძმე ხალხთა შორის ურყევი მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას.

მიუხედავად მოხუცებულობისა და ხანგრძლივი ავადმყოფობისა, აკოპ აკოპიანს უკანასკნელ დრომდე არ შეუწყვეტია შემოქმედებითი მუშაობა.

აკოპ აკოპიანის მრავალი ლექსი თარგმნილია ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა ხალხთა ენებზე.

ამიერკავკასიის ხალხებმა ღირსეულად დააფასეს აკოპ აკოპიანის სამწერლო - რევოლუციური მოღვაწეობა: მას მინიჭებული ჰქონდა სომხეთისა და საქართველოს სახალხო პოეტის სახელწოდება.

აკოპ აკოპიანის, როგორც რევოლუციონერი პოეტის ხსოვნა უკვდავი იქნება ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის მეხსიერებაში.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დავალებით:
შ. დადიანი, ა. მაშაშვილი, მ. პეტროსიანი, გ. ტაბიძე, კ. ჩარკვიანი, ს. ეული, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, ვ. გაფრინდაშვილი, შ. რადიანი ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, კ. ლორთქიფანიძე, პ. სამსონიძე, ბ. ჟღენტი, ე. პოლუმორდვინოვი, პ. ჩხიკვაძე, ნ. ლორთქიფანიძე, ი. გრიშაშვილი, რ. გვეტაძე, გ. ბუხნიკაშვილი, ი. ლისაშვილი.

პოეტ ა. აკოპიანის დაკრძალვა 16 ნოემბერს მოხდება

საქართველოს და სომხეთის სახალხო პოეტის აკოპ აკოპიანის დაკრძალვის მოსაწყობად საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობის მიერ შექმნილია კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. ე. ბურჭულაძე (საქართველოს განსახკომი) და კომისიის წევრები: ამხ. ს. ეული, ი. კასპარიანი, შ. დადიანი, ა. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი, ი. გრიშაშვილი, ლ. ქიაჩელი, ა. ბეროიანი, ნ. პეტროსიანი, ქ. აზროიანი, მ. სეიდოვი.

○

საქართველოს და სომხეთის სახალხო პოეტის აკოპ აკოპიანის დაკრძალვა მოხდება თბილისში. ცხედრის გამოსვენება დანიშნულია 16 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე ბინიდან—მახარაძის ქუჩა, სახლი № 11.

პოეტის ცხედართან გამოსათხოვებლად საზოგადოებას დაუშვებენ 15 ნოემბერს დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათსა და 30 წუთამდე და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდე.

ა. აკოპიანის დაკრძალვა იკისრა საქართველოს სს რესპუბლიკის მთავრობამ სახელმწიფო ხარჯზე.

მხატვრული სახეები და მეტაფორები სტალინის შრომებში*

გიორგი საამოვი

ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები **მარქსი** და **ენგელსი** მხატვრული სიტყვის გამოყენებას საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტის დროს.

მარქსმა და ენგელსმა მეცნიერული სოციალიზმის პრობლემებზე მუშაობის დროს გენიალური ოსტატობით შეუფარდეს თავიანთ მოსაზრებათა ღრმა თეორიულ არგუმენტაციას — მაღალი ლიტერატურული სტილი, გამოთქმის გამოკვეთილება და გარკვეულობა, მხატვრული მეტაფორებისა და ლიტერატურული სახეების გამოყენება.

მარქსი და ენგელსი თავიანთ უკვდავ მეცნიერულ ნაწარმოებებში რკინისებური თეორიული არგუმენტაციით და მაღალი სტილით ჩაუქრობელ ცეცხლს ანთებენ მკითხველის გულში და გამანადგურებელ სიტყვად ევლინებიან მოწინააღმდეგეს,

„აქ სტილი არის ის, რაც იგი — **Stilus** —თავდაპირველად რომაელების ხელში იყო, ფოლადის წვეტიანი მახვილი, რომელიც წერს და ჩხვლეტს. აქ სტილი — ხანჯალია, რომელიც პირდაპირ გულში ხვდება" (ვ. ლიბკნეხტი).

მარქსისტული სტილის ეს თავისებურება, ისევე, როგორც მთელი მარქსისტული მსოფლმხედველობა, **ვ. ი. ლენინმა**, იმპერიალიზმისა და კლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებთან შეფარდებით, განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა.

მარქსისა და ენგელსის მსგავსად, **ლენინი** დიდი ყურადღებით ეკიდებოდა მსჯელობის დამაჯერებელ უბრალოებას. იგი ზედმიწევნით იცნობდა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა შემოქმედების თვითეულ დეტალს, გატაცებით კითხულობდა **გოეთეს, ემილ ზოლას, სტენდალს, ჰუგოს, ჩერნიშევსკის, გერცენს, პუშკინს, ტოლსტოის, ლერმონტოვს, შჩედრინს, გორკის** და სხვებს.

ლენინი თავის უკვდავ მეცნიერულ ნაწარმოებებში, თეორიულ მტკიცებათა უბადლო სიღრმესთან ერთად, დიდის ხელოვნებით იყენებდა და დასმულ პრობლემების გადაწყვეტისას მხატვრულ - ლიტერატურულ სახეებს. ის ფართოდ იყენებდა ლიტერატურულ ტიპებს, მეტაფორებს, შედარებებს და საშინელი ირონიით ანადგურებდა მუშათა კლასის განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა მტერს: სოციალ-გამცემლებს, მე-2 ინტერნაციონალიდან, კონტრრევოლუციურ ტროცკისტებს, მემარჯვენე და „მემარცხენე" გარეწრებს და სხვ.

მოსწრებული მეტაფორების, იუმორისტული შედარებებისა და ხალხური გამოთქმების ხმარებით ლენინი მკითხველში აძლიერებს დარწმუნების ძალას და მიღებულ შთაბეჭდილებას წარუშლელს ხდის არა მარტო სპეციალურად მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ დაწერილ წერილებში, არამედ ყველა თავის ეპოქალურ ნაწარმოებებშიაც.

ლენინი მუდამ გასაგებად, მარტივად და პოპულარულად სწერდა, რადგან მას სურდა მისაწვდომი ყოფილიყო ფართო მშრომელი მასებისათვის, რომლებსაც ის წრთვნიდა და ამზადებდა კაპიტალისტური ციხე-სიმაგრეების დასანგრევად. ამით აიხსნება ლენინის სტილის ის თავისებურება, რომელიც ამხანაგმა **სტალინმა** აღნიშნა ლენინის დახასიათების დროს: **„მხოლოდ ლენინს შეეძლო უაღრესად დახლართულ საგნებზე ასე უბრალოდ, გარკვევით შეკუმშულად და გაბედულად წერა —როდესაც თითეული ფრაზა კი არ ლაპარაკობს, არამედ ტყვიასავით ვარდება"**[1].

სტალინმა გენიალურად დაამკვიდრა და განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა მარქსისტულ - ლენინური მსოფლმხედველობისათვის შესატყვისი ლიტერატურული სტილი, — სტილი, რომელიც მილიონებს ღრმად სწვდება გონებაში. **„არსად ისე არ სცხოვრობს აზრი და სიტყვა ლენინისა, როგორც სტალინში. სტალინი—ეს არის ლენინი დღეს,"**—ამბობს დიდი ფრანგი მწერალი **ანრი ბარბიუსი**,—მსგავსად ლენინისა, იგი სცემს იმავე წერტილში, იმავე იარაღით, იგი უხვად ურთავს თავის სიტყვებში კითხვებს (ეს საშუალებას იძლევა, მიუხედეთ აუდიტორიას) და, მსგავსად დიდი ანტიკური ქადაგებლებისა, იმეორებს და ხაზს უსვამს საჭირო სიტყვებს. მას უნარი აქვს შეუმცდარად ცხადჰყოს სუსტი და ძლიერი პუნქტები. ვერავინ შეედრება მას თვითკმაყოფილი რეფორმიზმის ოპორტუნისტული კონტრაბანდის მხილებაში".

მსგავსად ლენინისა, ამხანაგ **სტალინს** ახასიათებს დიდი სისადავე, გარკვეულობა, მკაფიობა და დამაჯერებლობა. იგი შეუდარებელი ხელოვნებით იყენებს თავის მეცნიერულ შრომებში ლიტერატურულ სახეებს, იუმორისტულ შედარებებს და მეტაფორებს. უაღრესად აქტიურ საკითხებზე მსჯელობის დროს ამხანაგი **სტალინი** აცოცხლებს დამახასიათებელ ლიტერატურული ტიპების პორტრეტებს და დიდის ვირტუოზობით იშველიებს ირონიას, როგორც მტრის დაცინვითი განგმირვის დიად ხელოვნებას.

აი ამის საილუსტრაციო მაგალითები:

პარტიის მე-2 ყრილობის შემდეგ, როცა პროლეტარიატის ფართო მასებისათვის ჯერ კიდევ საკმაოდ ნათელი არ იყო მენშევიკების მთელი კონტრრევოლუციური ბუნება. მუშათა შეუგნებელი ნაწილი, კლასობრივად ნაკლებად გათვითცნობიერებული ნაწილი მხარს უჭერდა „უმცირესობას". ეს მდგომარეობა ქართველ მენშევიკებს — ჟორდანიას და მის ავან-ჩავანებს ფრთებს ასხამდა. ისინი ამტკიცებდნენ, ვითომცა სწორედ ამის გამო მათი პლატფორმა პროლეტარული ყოფილიყო. ამხანაგი **სტალინი**, ამ მენშევიკური ყბედობისა და აბდაუბდის გამო, მიმართავს შოთა რუსთაველის უკვდავ ქმნილებას—„ვეფხის-ტყაოსანს" და იშვიათი სარკაზმით სწერს:

„...ერთხელ ყვავმაც იშოვა ვარდი, მარა ის კიდევ იმას არ ნიშნავს! რომ ყვავი ბულბულია. ტყუილად კი არაა ნათქვამი:

„რა ყვავი ვარდსა იშოვის,
თავი ბულბული ჰგონია"[1].

1921 წელს პარტიის ც. კ-ის პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება ა.-კ. ფედერაციის შექმნის შესახებ. ამ დროიდან ქართველი ნაციონალ - უკლონისტები კონტრრევოლუციონერ ბ. მდივნის მეთაურობით იწყებს ბრძოლას ამ დირექტივის წინააღმდეგ.

1923 წ. რუსეთის კ. პ. (ბ) მე-12 ყრილობაზე, ამხანაგ **სტალინის** მოხსენების გამო სიტყვით გამოსულ კონტრრევოლუციონერ - ფაშისტ ბ. მდივანს თავი ისე ეჭირა, თითქოს ც. კ-ში მას გაემარჯვებინოს. ამის გამო საპასუხო სიტყვაში ამხანაგი **სტალინი** იხსენიებს სერვანტესის ცნობილ გმირს და ამბობს:

„მე აღარ ვიცი, რაღას უნდა ვუწოდოთ მაშინ დამარცხება. თუმცა ცნობილია, რომ ნეტარხსენებული დონ-კიხოტიც გამარჯვებულად სთვლიდა თავს, როდესაც ქარის წისქვილმა ცხვირი ჩაუმტვრია. მე ვფიქრობ, ზოგიერთ ამხანაგს, რომელნიც მუშაობენ საბჭოთა ტერიტორიის ერთ-ერთ ნაკვეთზე, რომელსაც საქართველო ეწოდება, იქ, ზემო სართულში, როგორც სჩანს, ყველაფერი რიგზე ვერა აქვს"[2].

ვინ არ იცის „გოელროს" ლენინური გეგმა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის გენიალურ ამოცანებს ითვალისწინებდა. ცნობილია, თუ რა სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა ეს დიადი გეგმა მტრების ბანაკის, კერძოდ კი, ტროცკის მხრივ, რომელმაც გაილაშქრა ლენინის გეგმის წინააღმდეგ და თავისი უბადრუკი კაპიტულანტური „გეგმა" წამოაყენა.

ტროცკის ამ საქციელის გამო, ამხანაგი სტალინი მეტად მოხდენილად სწერდა ლენინს:

„გახსოვთ ტროცკის შარშანდელი „გეგმა" (მისი თეზისები) რუსეთის „სამეურნეო აღორძინებისა" ომის წინადროინდელი მრეწველობის ნამსხვრევებისადმი არაკვალიფიციური გლეხთა - მუშური მასების შრომის (შრომის არმიის) მასობრივად გამოყენების საფუძველზე? რა უბადრუკობაა, რა ჩამორჩენილობაა **გოელროს** გეგმასთან შედარებით? საშუალო საუკუნის დროინდელი შინამრეწველი მას იბსენის გმირად ჰყავს წარმოდგენილი, რომელიც მოწოდებულია „იხსნას" რუსეთი ძველის-ძველი საგით... და რად ღირს „ერთიანი გეგმების" ათეულები, რომლებიც ჩვენდა სასირცხვილოდ ქვეყნდება ჩვენს პრესაში, — ეს მოსამზადებელი განყოფილების ბავშვთა ტიტინი. ანდა კიდევ რიკოვის ობივატელური „რეალიზმი" (ნამდვილად **მანილოვშჩინა**), რომელიც ჯერ კიდევ „აკრიტიკებს" **გოელროს**, თვით ყელამდე ჩაფლული რუტინაში"[3].

იყო დრო, როდესაც გერმანიის „მემარცხენეებიდან" რუტ ფიშერმა და მასლოვმა ფაშიზმის, კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ამ ცოფმორეულმა ლაქიებმა, დაიწყეს „წინასწარმეტყველობა" გერმანიის კომუნისტური პარტიის „გაკოტრებაზე", საბჭოთა კავშირში სოციალისტური აღმშენებლობის „გაკოტრებაზე". 1927 წელს ოქტომბრის ზეიმზე ჩამოსულმა უცხოელ მუშათა დელეგატებმა, მთელ რიგ სხვა კითხვების მიცემასთან ერთად, სთხოვეს ამხანაგ **სტალინს** გამოეთქვა აზრი თავის დამოკიდებულებაზე „ოპოზიციისადმი და რუტ ფიშერ - მასლოვის მიმართულებისადმი გერმანიაში".

ამხანაგმა **სტალინმა** ოპოზიციის ამ უბადრუკ ლიდერებთან თავისი დამოკიდებულების ნათლად განმარტებისათვის მოიყვანა მსოფლიო კლასიკური ლიტერატურიდან ცნობილი ტარტარენ ტარასკონელის ტიპი:

„ჩემი დამოკიდებულება ოპოზიციისადმი და მისი აგენტურისადმი გერმანიაში ისეთივეა, როგორიცაა ცნობილ ფრანგ რომანტიკოს ალფონს დოდეს დამოკიდებულება ტარტარენ ტარასკონელისადმი **(მხიარული გაცხოველება დელეგატებში)**. თქვენ, ალბად, წაკითხული გექნებათ ალფონს დოდეს ეს შესანიშნავი რომანი ტარტარენ ტარასკონელზე. ამ რომანის გმირი ტარტარენი იყო, არსებითად, ჩვეულებრივი „კეთილი" წვრილი ბურჟუა, მაგრამ მას ჰქონდა ისეთი დიდი ფანტაზია და „კეთილსულოვანი ცრუობის" ნიჭი იმდენად განვითარებული იყო მასში, რომ ის ბოლოს და ბოლოს გახდა ამ იშვიათი თვისებების მსხვერპლი. ტარტარენი ტრაბახობდა და არწმუნებდა ყველას, რომ ატლასის მთებში მან მოჰკლა აუარებელი ლომი და ვეფხვი, ამისათვის ტარტარენის გულუბრყვილო მეგობრებმა მას უწოდეს მსოფლიოში პირველი მონადირე ლომებზე. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, ისე როგორც დანამდვილებით იცოდა თვით ტარტარენმა, რომ ტარტარენს თვალითაც არ უნახავს არც ლომები და არც ვეფხვები. ტარტარენი ტრაბახობდა და ყველას არწმუნებდა, რომ ის ავიდა მონბლანზე. მისმა გულუბრყვილო მეგობრებმა ამისათვის მას უწოდეს პირველი ალპინისტი მსოფლიოში. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, რომ ტარტარენს არავითარი მონბლანი არასოდეს არ უნახავს, ვინაიდან ის იყო მხოლოდ მონბლანის კალთებზე. ტარტარენი ტრაბახობდა და ყველას არწმუნებდა, რომ მან დაარსა უდიდესი კოლონია საფრანგეთიდან დაშორებულ ქვეყანაში. გულუბრყვილო მეგობრებმა ამისათვის მას უწოდეს პირველი კოლონიზატორი მსოფლიოში. ამავე დროს კი ალფონს დოდემ დანამდვილებით იცოდა, ისე როგორც თვით ტარტარენს უნდა აღეარებია, რომ ტარტარენის ფანტასტიური ზრახვებიდან კონფუზის გარდა არაფერი გამოვიდოდა.

თქვენ იცით, რა კონფუზში და სკანდალურ მდგომარეობაში ჩააგდო ტარასკონელები ტარტარენის ფანტასტიურმა ტრაბახმა.

მე ვფიქრობ, რომ ოპოზიციისათვის ასეთივე კონფუზით და სკანდალით დამთავრდება ოპოზიციის ლიდერების ტრაბახი და აურზაური, რომელიც მათ ასტეხეს მოსკოვსა და ბერლინში **(საერთო სიცილი)**"[4].

კომინტერნის აღმასკომის მე-7 პლენუმზე ტროცკი, ლაპარაკობდა რა თავის დამოკიდებულებაზე „პერმანენტული რევოლუციის" თეორიისადმი, სასაცილო ორაზროვან პასუხს იძლეოდა. იუდუშკა ტროცკი აღნიშნავდა, თითქოს ამ თეორიას ახასიათებდა ზოგიერთი „ხარვეზი". გამოდიოდა ისე, თითქოს ამ თეორიას, უარყოფით მხარეებთან ერთად, დადებითი მხარეებიც ჰქონდა.

ამხანაგმა **სტალინმა** ტროცკის ამ ორაზროვან და ფარისევლურ მანევრს გამანადგურებელი პასუხი გასცა. ეს პასუხი ზედმიწევნით უბრალოა და ამდენადვე განსაცვიფრებელი და მომხიბვლელი. იგი მძლავრია, როგორც მახვილი, თვალის მომჭრელი და ბრწყინვალეა, როგორც ბოლშევიკური ენისა და რიტმის მხატვრული სტილის მთელი სიმდიდრე:

„გამოდის, რომ, თუ ამ თეორიის ზოგიერთი მხარე შემცდარია, არის ამ თეორიის სხვა მხარეებიც, რომლებიც „შეცდომას" არ წარმოადგენს და რომლებიც ძალაში უნდა დარჩეს. მაგრამ, როგორ დავაშოროთ პერმანენტული რევოლუციის თეორიის ზოგიერთი მხარეები ამ თეორიის სხვა მხარეებს? განა პერმანენტული რევოლუციის თეორია შეხედულებათა მთლიან სისტემას არ წარმოადგენს? განა შეიძლება განვიხილოთ პერმანენტული რევოლუციის თეორია, როგორც ყუთი, რომლის ორი კუთხე, ვთქვათ, ლპება, ორი დანარჩენი კი მთელი და დაუზიანებელი დარჩა? და, შემდეგ, განა შეიძლება დავკმაყოფილდეთ აქ უბრალო და ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოკლებული განცხადებით საერთოდ „ნაკლის" შესახებ, და არ დაასახელოთ, სახელდობრ, რა ნაკლი აქვს მხედველობაში... ტროცკის, და მისი პერმანენტული რევოლუციის თეორიის რომელი მხარე მიაჩნია მას შემცდარად?... ტროცკი ლაპარაკობს „პერმანენტული რევოლუციის თეორიის" ზოგიერთი ნაკლის შესახებ, მაგრამ, სახელდობრ, რომელი ნაკლი აქვს მხედველობაში და ამ თეორიის რომელი მხარე მიაჩნია შემცდარად, — ყოველი ამის შესახებ მას არცერთი სიტყვა არ უთქვამს. ამიტომ.. ტროცკის განცხადება ამ საკითხის შესახებ უნდა განვიხილოთ როგორც საქმის ბანზე აგდება და როგორც ცდა დაკმაყოფილდეს უპასუხისმგებლო ორაზროვანი პასუხით.

...ტროცკი ამ შემთხვევაში მოიქცა ისე, როგორც ძველ დროს ზოგიერთი მოხერხებული ორაკულები იქცეოდნენ, როცა ისინი ხალხს თავიდან იშორებდნენ ორაზროვანი პასუხით, როგორც, მაგალითად: „მდინარეზე გასვლის დროს დამარცხდება დიდი ჯარი", რომელ მდინარეზე, ვისი ჯარი დამარცხდება? —მიდით და გაიგეთ. **(სიცილი)**"[5].

„დაცინვა სპობს მტერს"—სწერდა ლენინი. კლასობრივ მტრებთან დაუნდობელ ბრძოლაში ბოლშევიზმის ამ დიად, ყოვლის შემძლე ტრადიციას გენიალურად იყენებს ამხანაგი **სტალინი**.

მეორე სტატიაში ჩვენ დავინახავთ თუ ამხანაგი **სტალინი** თავისი შემდგომი პერიოდის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის შრომებში, გამოსვლებში და სტატიებში, როგორ აძლიერებს და აჰყავს განვითარების მაღალ საფეხურზე ლიტერატურული სახეების, მეტაფორებისა და შედარებების გამოყენება, როგორც სოციალიზმის ყველა მტრის განგმირვის დიადი ხელოვნება.

---

[*] ამოღებულია დასაბეჭდად მომზადებული შრომიდან. რედ.

[1] ვ. ი. ლენინი. რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 17. ტფილისი. 1935 წ.

[1] ი. სტალინი „საქართველოს კომპარტიის (ბ) ბრძოლის ძირითადი საკითხების შესახებ", გვ. 39, თბილისი, 1934 წ.

[1] იქვე, გვ. 159.

[1] Ленин и Сталин. Т. II, ст. 365, партиздат ЦК ВКП(б). 1936 г.

[1] ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები", მეცხრე გამოცემა, გვ. 353—354 (ქართ. გამ. 1933 წ.).

[1] ი. სტალინი. „კიდევ სოციალ-დემოკრატიულ გადახრაზე ჩვენს პარტიაში", გვ. 64, სახელგამი 1932 წ.

ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავის აღსანიშნავი საღამო მწერალთა კავშირში

დიდმა საზეიმო საღამომ, რომელიც მოეწყო 5 ნოემბერს მწერალთა სასახლის პატარა დარბაზში ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავის აღსანიშნავად, ჩაიარა საქართველოს საბჭოთა მწერლების მთელი კოლექტივის იშვიათი შემოქმედებითი პათოსით.

საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. **სანდრო ეულმა.**

ამხ. **შალვა რადიანის** მოხსენება წარმოადგენდა ოქტომბრის დიდი რევოლუციის საზეიმო მონაპოვართა, სოციალისტური მშენებლობის დიად მიღწევათა მოკლე მიმოხილვას.

როგორც მომხსენებელმა, ისე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა, მწერლებმა **ნინო ნაკაშიძემ, რ. ქორქიამ, ბ. ჟღენტმა, ს. წვერავამ, ლ. მეტრეველმა, კონსტ. გამსახურდიამ** გამოთქვეს თავიანთი გულწრფელი აღტაცება იმ უაღრესად ისტორიული მნიშვნელობის წარმატებების გამო, რომლებიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასებმა მოიპოვეს სახალხო მეურნეობის და კულტურის ყველა სფეროში, გარდაქმნეს რა ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა, მოწინავე სოციალისტურ ქვეყნად, მთელი მსოფლიოს მშრომელთა სოციალისტურ სამშობლოდ.

სოციალიზმის მშენებელი ადამიანის ბედნიერება, სიხარული, სიყვარული და თავდადება ლენინ-სტალინის პარტიისა, სამშობლოსა და დიდი ბელადისადმი გამოხატეს საღამოზე წაკითხულ ნაწარმოებებში პოეტებმა და პროზაიკოსებმა **დუტუ მეგრელმა, დ. შენგელაიამ, ალ. აბაშელმა, სიმ. ჩიქოვანმა, ს. თავაძემ, ალიო მაშაშვილმა, ი. გრიშაშვილმა, გ. ლეონიძემ, ილო მოსაშვილმა, რ. გვეტაძემ, ვ. გორგაძემ, კ. ბობოხიძემ, დ. გაჩეჩილაძემ, ალ. გომიაშვილმა, მარიკა მიქელაძემ, ირ. აბაშიძემ, ვ. გაფრინდაშვილმა, ს. ეულმა, გ. ქუჩიშვილმა.**

ყოველი მწერლის გამოსვლას ხალხით გაჭედილი დარბაზი მქუხარე ტაშით ეგებებოდა.

საზეიმო საღამო დასრულდა კონცერტით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო ოპერის ორდენოსანმა მომღერალმა **ლეონ ისეცკიმ, გერმესაშვილმა** და მეჩონგურეთა ანსამბლმა **ვარდიაშვილის** ხელმძღვანელობით.

ხელოვნების მუშაკთა სახლში

ხელოვნების მუშაკთა სახლში 3 ნოემბერს გაიმართა ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავის საზეიმო საღამო.

მოხსენება გააკეთა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ არჩილ გიგოშვილმა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა საკონცერტო განყოფილება. მონაწილეობა მიიღეს: **ქართული საკრავების ორკესტრმა** ვაშაკიძის ხელმძღვანელობით—შესრულებულ იქნა ხალხური სიმღერები: „დელა“, „ნანა“, „საკოლმეურნეო“, „სულიკო“ და საცეკვაო. მეჩონგურეთა ტრიომ შ. ორაგველიძის ხელმძღვანელობით შეასრულა: „ლეკებმა რომ დამიჭირეს“, „შალვა ჩემო“, საოხუნჯო. შესრულებულ იქნა ხორუმი გ. სულაქველიძის ხელმძღვანელობით. მეფანდურეებმა ჰანუყვაძისა და ხარაზიშვილის მონაწილეობით შეასრულეს სიმღერა სტალინზე და სახუმარო შაირები. გარდა ამისა, შესრულებულ იქნა აგრეთვე სხვადასხვა ცეკვა — მთიულური, კინტოური, ინგუშური და ლეკური. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მსახიობებმა ანდღულაძემ, აფხაიძემ, საღარაძემ, ჯაფარიძემ, ყვარელაშვილმა და კრავეიშვილმა.

„ახალი კოლხიდა“

გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა წიგნი „ახალი კოლხიდა“, რომელშიაც თავმოყრილია ქართველი საბჭოთა პოეტების მიერ დაწერილი ლექსები და პოემები ახალ კოლხიდაზე.

წიგნში მოთავსებულია ლექსები: ალ. აბაშელისა—„ოქროს საწმისი“, ირ. აბაშიძისა—„კოლხიდის საგანძური“ და „ოდიშის პლანტაციები“, ალ. ადამიასი—„კოლხიდაში“, შ. აფხაიძის—„ახალ კოლხიდას“, კალე ბობოხიძისა—„პალიასტომის სანაპირო“, „მოხუცი იოხანან“ და „საცდელ ველზე“, ვ. გაბესკირიასი—„ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები“, „ევკალიპტები“, „პალიასტომთან“, „ბერძენ კოლმეურნე ქალს“ და „სურათები“, ვალ. გაფრინდაშვილისა—„ინათი და ყორათი“, დავით გაჩეჩილაძისა—„კოლხეთს“ და „ნოჯიხეველი ნათანი“, ვასო გორგაძისა—„კოშკი რიონის შესართავთან“, ი. გრიშაშვილისა—„ნარინჯიანო“, იონა ვაკელისა—„ახალი კოლხეთი“, ხარიტონ ვარდოშვილისა—„კოლხეთის სიმღერიდან“, ს. თავაძისა—„საუბარი შვილიშვილთან“, გ. კაჭახიძისა—„ევკალიპტები“ და „წურბლის გამყიდველი“, ი. ლისაშვილისა—„კოლხეთის მიწა“, ალიო მაშაშვილისა—„ხორგა“, ი. მოსაშვილისა—„ლავრენტი ბერიას“ და „კოლხიდის დილა“, კ. ნადირაძისა—„თეთრი ტყემლები“ და „ორფეოსის სიმღერა“, მიქ. პატარიძისა—„ფერადი კენჭები“, ვ. ჟურულისა—„მწვანე ბუჩქები“, პ. სამსონიძისა—„სიმღერა კოლხეთზე“, გ. ტაბიძისა—„კოლხიდა“, გ. ქუჩიშვილისა—„კოლხეთი“, ს. ჩიქოვანისა—„სამეგრელოში შთაგონებული საღამოები“ და „შემოდგომის საღამოები კოლხიდაში“, სიო ხიდისთაველისა—„კოლხეთი“.

პოემები: რაჟდენ გვეტაძისა—„წალკოტი“, ს. ეულისა—„ჭალადიდი“, გ. ლეონიძისა—„ფოროთოხალა“, ს. შანშიაშვილისა—„ოქროს ვერძი“.

წიგნში მოთავსებულია სტალინის პორტრეტი, დახატული უჩა ჯაფარიძის მიერ. წიგნი კარგად არის გაფორმებული ს. გაბაშვილისა და ს. კეცხოველის მიერ.

წიგნი გამოცემულია ამხ. კანდიდ ჩარკვიანისა და სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობით.

წიგნი დაბეჭდილია უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე, შეიცავს 140 გვერდს და ღირს 12 მანეთად.

მოხსენება კრებულ „ახალ კოლხიდაზე“

17 ნოემბერს მწერალთა სასახლეში გაიმართება საღამო, რომელიც მიეძღვნება კრებულს „ახალი კოლხიდა“. მოხსენებას გააკეთებს ამხ. დიმიტრი ბენაშვილი. მოხდება აზრთა გაცვლა-გამოცვლა. დასასრულ პოეტები წაიკითხავენ კრებულში მოთავსებულ ლექსებსა და პოემებს.

საქართველოს ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ოლიმპიადა

საქართველოს ხელოვნების მთავარმა სამმართველომ ოქტომბრის რევოლუციის 20 წლის თავისათვის მოაწყო ხალხური სიმღერებისა და ცეკვის სრულიად საქართველოს ოლიმპიადა. ოლიმპიადა ჩატარებულ იქნა ტფილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში 8-11 ნოემბერს. ოლიმპიადის მონაწილენი შერჩეულ იქნენ რაიონებსა და ქალაქებში. ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღეს საგუნდო ერთეულებმა, მოცეკვავეთა ანსამბლებმა, ქართული საკრავების ოსტატებმა, ინდივიდუალურმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა.

ოლიმპიადაზე შესრულებულ იქნა მხოლოდ ხალხური შემოქმედების სახეები: ქართლ-კახური, იმერული, გურული, მეგრული, ოსური და სხვა ხალხური სიმღერები, ცეკვიდან — ლეკური, მთიულური, ბაღდადური, ხორუმი, დავლური, სიმღა, ქისტური, ხევსურული, კინტოური და სხვ.

მზადება შოთა რუსთაველის იუბილესათვის

რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში და სახელმწიფო უნივერსიტეტში

სახელმწიფო უნივერსიტეტი და რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი შეუდგნენ მზადებას რუსთაველის იუბილესათვის.

იუბილესათვის გამოვა საიუბილეო კრებული, რომელშიაც შევა შემდეგი კრიტიკული წერილები და ნარკვევები: პროფ. კ. კეკელიძე — „ისტორია, აზმანი და შარავანდედთანი, როგორც ლიტერატურული წყარო“, პროფ. ივ. ჯავახიშვილი—„რუსთაველი და მისი ეპოქა“, პროფ. იუსტ. აბულაძე — „ვეფხის-ტყაოსანი“ და ირანული ეპოსი“, პროფ. შ. ნუცუბიძე — „შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა“, ს. იორდანიშვილი — „ვეფხის-ტყაოსნის“ თარგმანები“, პროფ. ალ. ბარამიძე — „ტარიელის დახასიათებისათვის“, გერ. ქიქოძე — „რუსთაველი და მისი ჰუმანიზმი“, პავლე ინგოროყვა — „შოთა რუსთაველი“, დოც. მ. ჩიქოვანი — „ხალხური „ვეფხის-ტყაოსნის“ მითოლოგია“, დოც. ტ. რუხაძე „იდეური ბრძოლა „ვეფხის-ტყაოსნის“ გარშემო“, დოც. პ. ბერაძე — „რუსთაველის ლექსის რითმი“, და სხვა.

კრებული საიუბილეო დღეებისათვის გამოიცემა.

საიუბილეო დღეებში სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყობა სამეცნიერო სესია. ინსტიტუტის თანამშრომლები წაიკითხავენ მოხსენებებს რუსთაველისა და მისი ეპოქის შესახებ დიდ წარმოება-დაწესებულებებში.

ინსტიტუტმა გამოსცა და იყიდება „ვეფხის-ტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა პროფ. აკ. შანიძის რედაქტორობით.

მზადდება „ვეფხის ტყაოსნის“ აკადემიური გამოცემა. გამოიცემა აგრეთვე პატარა ფორმატის „ვეფხის-ტყაოსანი“ მასობრივი ტირაჟით.

ინსტიტუტის უშუალო დახმარებით მოსკოვში „უცხოელ მუშათა გამომცემლობის“ მიერ გამოცემული იქნება „ვეფხის-ტყაოსნის“ ფრანგული და ინგლისური თარგმანები.

საიუბილეო დღეებში ინსტიტუტში მოეწყობა დიდი საზეიმო საღამო.

ხალხური შემოქმედების კაბინეტში

შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, ხალხური შემოქმედების კაბინეტი სცემს რამდენიმე წიგნს.

პირველ რიგში გამოცემული იქნება „ხალხური სიმღერების კრებული“. კრებულში შევა მთელი ის მასალა, რაც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ქართველმა კომპოზიტორებმა შეკრიბეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. სიმღერების შეკრება ხდებოდა ფონოგრაფის საშუალებით, ამიტომ ხალხური სიმღერების სიწმინდე ნოტებზე გადატანის დროს სავსებით დაცულია. კრებულში შეტანილი იქნება ხუთასამდე ხალხური სიმღერა ნოტების სახით. ნოტებთან ერთად კრებულში წარმოდგენილი იქნება ქართული ხალხური სიტყვიერი ფოლკლორი ამ სიმღერებისათვის.

კრებულს დართული იქნება სამი სპეციალური წერილი ქართული მუსიკისა და ხალხური სიტყვიერების შესახებ: 1) პროფ. ივ. ჯავახიშვილისა — „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, 2) პროფ. დიმ. არაყიშვილისა — „ქართული მუსიკის სპეციფიურობის შესახებ“ და 3) დოც. შალვა ასლანიშვილისა — „მუსიკალური შენიშვნები“. კრებული ძალიან მდიდრულად იქნება გაფორმებული მხატვრების რუსიშვილისა და კოტე მაყაშვილის მიერ პროფ. ლადო გუდიაშვილის საერთო ხელმძღვანელობით. გაფორმების მთავარ მოტივად აღებულია ძველი ქართული ხუროთმოძღვრების, ხელსაქმის, ჩუქურთმის, სურათების და სხვათა ნიმუშები.

კრებული გაყოფილი იქნება ორ ნაწილად — ძველი და ახალი სიმღერები. კრებულის მეორე ნაწილი დაიწყება ქართული ხალხური სიმღერებით სოციალისტური სამშობლოს ბელადებზე.

კრებული დაიბეჭდება ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. თარგმანი რუსულ ენაზე ეკუთვნის სანდრო ყანჩელს, ფრანგულზე—ელისაბედ ორბელიანს. ნოტების ქვეშ მიწერილი იქნება ქართული სიტყვები ლათინური ტრანსკრიპციით.

წიგნში დაახლოვებით 700 გვერდი იქნება. წიგნს ექნება ოქროთი მოვარაყებული გარეკანი. დაიბეჭდება მოსკოვში, მუსიკალური გამოცემების სტამბაში. წიგნი საიუბილეო დღეებისათვის გამოვა.

ამ კრებულის გარდა ცალკე წიგნად გამოვა პროფ. ივ. ჯავახიშვილის ახალი მეცნიერული ნაშრომი „ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები“.

„ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ ხუთ კარად არის გაყოფილი. პირველი კარი შეიცავს სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა და თეორიების კრიტიკულ მიმოხილვას ქართული მუსიკის შესახებ.

მეორე კარში განხილულია ქართული ხალხური მუსიკა: გამორკვეულია ამ დარგის ზოგადი და სპეციალური ტერმინები, სამხმიანი და ექვსხმიანი გუნდების ხმათა და მომღერალთა აღმნიშვნელი სახელების რეალური მნიშვნელობა საუკუნეთა განმავლობაში.

მესამე კარში გამორკვეულია, რა და რა დარგის საკრავები ყოფილა საქართველოში გავრცელებული უძველეს დროიდან მე-19 საუკუნემდე, თითოეული მათგანის სადაურობა აღნიშნულია. განსაზღვრულია მათი გაჩენისა და გავრცელების ხანა, განმარტებულია მათი აგებულება და მოყვანილია საკრავების ნაწილების მაშინდელი სახელები. დასასრულ, გამორკვეულია, რა და რა საკრავების მწყობრი ყოფილა ძველად საქართველოში გავრცელებული.

მეოთხე კარში განხილულია ქართული მუსიკის განვითარების მთავარი საფეხურები. ეს კარი იწყება წარმართობის ხანის მუსიკით. მას მოსდევს ქრისტიანული მუსიკის გაჩენა, მისი დამახასიათებელი თავდაპირველი თვისება. მოყვანილია ცნობები წარმართულ და ქრისტიანულ მუსიკას შორის ატეხილი ბრძოლისა და წარმართული მუსიკის დევნის შესახებ, გამორკვეულია მუსიკის ხელოვნების ორგანიზაცია ძველ საქართველოში და მაშინდელი მოძღვრება ჰანგის შეთხზვა-დანაწილებასა, მუსიკის სისტემასთან და ნიშნების აღბეჭდვასთან დაკავშირებით. მოყვანილია იმდროინდელი ქართული საგალობო ნიშნები, აღნიშნულია ზოგი მათგანის საგულვებელი სახელი და ნაჩვენებია ის მეთოდი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მათი სახელების ზედმიწევნით გამორკვევა და მნიშვნელობის მიგნება. შემდეგ განმარტებულია, თუ როგორ ხდებოდა მაშინ ხმის ღირსება-ნაკლის და სიმღერის შეფასება. დასახელებულია ძველ საქართველოში ცნობილი სიმღერების სხვადასხვა გვარობა, სად, როდის და როგორ მღეროდნენ მათ და რა ეწოდებოდა თითოეულ ამ გვართაგანს.

მეხუთე კარში განხილულია ქართული მუსიკის და მრავალხმიანობის წარმოშობისა და განვითარების მთავარი საფეხურები: ავტორი ეხება ჯერ ქართული მუსიკის სათავეს, ხოლო შემდეგ ქართულ მრავალხმიანობას — როგორ და რა თანდათანობით გაჩნდა ხმები და შეიქმნა მრავალხმიანობა და რა გზით ჩამოინაკვთა ქართული მუსიკის დამახასიათებელი ჰარმონია.

დამატების სახით შრომას დართული ექნება ქართული გალობისა და სიმღერის ორი ძველი სახელმძღვანელო.

წიგნში მოთავსებული ცალკეული საკრავებისა და საკრავთა მწყობრების სურათები (მათ შორის მე-13 საუკ. ხელთნაწერიდან ამოღებული ორი სურათის პირი ფერადი იქნება) და მე-10 ს. საგალობლის ნიმუში.

წიგნი დაახლოვებით ოც ფორმას შეიცავს. დაიბეჭდება საუკეთესო ქაღალდზე და დაურიგდება მხოლოდ ხელის მომწერლებს (ხელის მოწერა სწარმოებს ხელოვნების მუშაკთა სახლში, მახარაძის ქ. № 8). წიგნი გამოიცემა შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის.

გამოცემული იქნება აგრეთვე ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ კლავირი. სიტყვები დაიბეჭდება ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე. თარგმანი ფრანგულზე ეკუთვნის ელისაბედ ორბელიანს, რუსულზე — ივნევს. წიგნი მდიდრულად იქნება გამოცემული და გაფორმებული პროფ. ლადო გუდიაშვილის მიერ.

რუსთაველის საიუბილეო გამოფენის ხელთნაწერების და ლიტერატურის განყოფილება

შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენის ხელთნაწერებისა და ლიტერატურის განყოფილება ემზადება საიუბილეო გამოფენისათვის. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება „ვეფხის-ტყაოსნის“ როგორც ხელთნაწერები (16-18 საუკუნეებისა), ისე ბეჭდვითი გამოცემები ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ჰუნგრულ, უკრაინულ, ბელორუსიულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და საბჭოთა კავშირის სხვა ენებზე. წარმოდგენილი იქნება აგრეთვე „ვეფხის-ტყაოსნის“ ილუსტრაციები და შოთას პორტრეტები.

გამოფენაზე დიდი ადგილი დაეთმობა რუსთაველის მიმდევნო ეპოქას მწერლობას, რომელიც ასახავს გენიალური პოემის გავლენას ქართულ ლიტერატურაზე. წარმოდგენილი იქნებიან აღორძინების ხანის (16-18 საუკუნეების) მწერლები, შემდეგ — „ვეფხის-ტყაოსნის“ გამგრძობნი, ინტერპოლატორები (ტექსტში ჩამმატებლები) და რუსთაველის მდევნელები—ანტონ კათალიკოსი და სხვები.

გამოფენის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნაწილს წარმოადგენს საქართველოს მე-19 საუკუნის ქართველი მწერლების იმ ნაწარმოებთა გამოფენა, რომელნიც უშუალოდ ეხებიან რუსთაველს და მის „ვეფხის-ტყაოსანს“. ამის პარალელურად წარმოდგენილი იქნება თანამედროვე ქართული საბჭოთა მწერლობა. გამოფენაზე განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა სპეციალურ განყოფილებას: „რუსთაველის შესწავლის ისტორია“. ამ ნაწილში გამოფენილი იქნება ვახტანგ მეფის კომენტარიები, არჩილ მეფის „გაბაასება“ და საერთოდ აღორძინების ხანის მწერალთა და ისტორიკოსთა ცნობები „ვეფხის ტყაოსანზე“ და მის ავტორზე. დაწვრილებით იქნება წარმოდგენილი 19-20 საუკუნეების სამეცნიერო ლიტერატურა „ვეფხის-ტყაოსანზე“. ამავე განყოფილებაში შევა რუსთაველის თანამედროვე ეპოქის მწერლობა. გამოფენილი იქნება ირანის, თურქეთის, ბიზანტიის და ევროპას საშუალო საუკუნეთა ლიტერატურის ძეგლები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რუსთაველის ეპოქის დროინდელ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებს როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ ლიტერატურაში, მათ შორის იოანე პეტრიწონელს და მის ფილოსოფიურ სკოლას.

გარდა ამისა, გამოფენილი იქნება: „რუსთაველი ქანდაკებასა და მხატვრობაში“, „რუსთაველის ბიუსტები“, „რუსთაველი კინოში“, „ვეფხის-ტყაოსანი“ თეატრში“ და „ვეფხის-ტყაოსანი“ ფოლკლორში“. ყოველი ეს მოცემული იქნება სურათებით, ქანდაკებებით, ბიუსტებით, მაკეტებით, დადგმებით, ხალხური ლექსებისა და გადმოცემების საშუალებებით.

განსახკომის საშუალო სკოლების სამმართველოში

განსახკომის საშუალო სკოლების სამმართველომ სკოლებში შოთა რუსთაველის იუბილეს კარგად ჩატარებისათვის დაამუშავა და სკოლებს დაუგზავნა სპეციალური მეთოდიური წერილი კონკრეტული მითითებებით.

საშუალო სკოლებში პირველიდან მეოთხე კლასამდე მოეწყობა „ვეფხის-ტყაოსნის“ მოკლე შინაარსისა და ზოგიერთი აფორიზმის შესწავლა; უჩვენებენ პოემის გმირების სურათებს, გადასცემენ ზოგიერთ ცნობას „ვეფხის-ტყაოსანსა“ და შოთა რუსთაველის შესახებ.

მე-5, მე-6 და მე-7 კლასებში „ვეფხის ტყაოსნის“ უფრო დაწვრილებით შესწავლასთან ერთად გაიმართება საუბრები შოთას ეპოქისა და „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ, მოეწყობა ზოგიერთა ადგილის კითხვა-შესწავლა და მრავალფეროვანი ილუსტრაციების ჩვენება.

უფროს კლასებში (მე-8, მე-9 და მე-10 ში) ჩასატარებელი მუშაობა ბევრად უფრო რთული და საპასუხისმგებლოა, რადგან „ვეფხის-ტყაოსნის“ დაწვრილებით შესწავლა ამ კლასების პროგრამაშია შეტანილი და მოწაფეები საკმაოდ იცნობენ მას, ამიტომ უფროს კლასებში მოეწყობა „ვეფხის-ტყაოსნის“ დაწვრილებითი გარჩევა. დამუშავებული იქნება ცალკეული თემები „ვეფხის-ტყაოსნიდან“: გმირობა და თავდადება, მიჯნურობა, შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა და სხვა. მოწაფეებს დაევალებათ „ვეფხის-ტყაოსნის“ სხვადასხვა ადგილის ილუსტრაცია. მოეწყობა მოხსენებები: „ვეფხის-ტყაოსნის“ სიუჟეტზე, შაირზე, მხატვრულ შედარებაზე და სხვა. ყველა სკოლაში შეიქმნება „ვეფხის-ტყაოსნის“ შემსწავლელი წრე.

სკოლებში მოეწყობა „ვეფხის-ტყაოსნის“ მოწაფე - მკითხველთა კონფერენციები: მოწაფეები ერთმანეთს გააცნობენ თავიანთ მუშაობას „ვეფხის-ტყაოსნის“ გარშემო, გაეჯიბრებიან ერთმანეთს სხვადასხვა საკითხისა და ადგილის ცოდნაში, მხატვრული ხერხების — აფორიზმების, შედარებების, ლექსიკის და სხვათა ახსნაში. უფროსი კლასის მოწაფეები წაიკითხავენ ამ კონფერენციებზე მოხსენებებს.

დამუშავებული იქნება ხალხური თქმულებები და გადმოცემები „ვეფხის-ტყაოსანზე“ და შოთა რუსთაველზე. სკოლებში გამოცემული იქნება იუბილესადმი მიძღვნილი კედლის გაზეთისა და ჟურნალის სპეციალური ნომერი.

სკოლებში მოწაფეთა ძალებით დამზადდება საიუბილეო გამოფენის მასალა: „ვეფხის-ტყაოსნის“ ილუსტრაციები, პლაკატები, სხვადასხვა სახის ლოზუნგები, კრიტიკული წერილები და სხვა. ყოველ სკოლაში შეძლებისდაგვარად მოეწყობა რამდენიმე საიუბილეო დილა და საღამო მრავალფეროვანი პროგრამით.

პროფ. ვუკოლ ბერიძე

ვახტანგისეული „ვეფხის-ტყაოსანი“

აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ. ტფილისი 1937 წ.

სახელმწიფო უნივერსიტეტმა დიდი საჩუქარი მიუძღვნა რუსთაველის იუბილეს: გამოსცა პროფ. **აკაკი შანიძის** მიერ აღდგენილი ვახტანგისეული „ვეფხის-ტყაოსანი“.

რას წარმოადგენს ვახტანგისეული „ვეფხის-ტყაოსანი“ და რად ეჭიროვებოდა მას აღდგენა? იგი უკვდავი პოემის პირველი ბეჭდური გამოცემაა, ვახტანგ მეექვსის მიერ შესრულებული.

რა მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე ამ გამოცემას? დიდი. იმ გარემოების გამო, რომ პოემა ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, უვიც გადამწერთა წყალობით, დროთა განმავლობაში ბევრი ცვლილება შევიდა. შიგ: ზოგი რამე დაკარგა, ზოგი რამეც შეიძინა და ამრიგად, თავის პირვანდელ სახეს დაშორდა (საერთო ბედი ხელნაწერის სახით გავრცელებულ ნაწარმოებისა).

ვახტანგის გამოცემით ამ თვითნებობას ზღვარი დაედვა: ნაწარმოებს სტამბური სტაბილიზაცია მიეცა და აქედან მოყოლებული ეს გამოცემა მეტნაკლებად მომდევნო გამოცემათათვის სავალდებულო სახელმძღვანელო საყრდენად გახდა. ამ მხრივ ეს „სავალდებულობა“ აუცილებელი შეიქნა ამ ნაწარმოების თვით „ვრცელი“ რედაქციის გამომცემელთათვისაც კი, როგორიც არიან ს. კაკაბაძე და კ. ჭიჭინაძე: ისინიც ბევრ რამეში ვახტანგს იმეორებენ. და საზოგადოდ: თუ რომელიმე მკვლევარი შედარებით „იოლად“ ლაპარაკობდა პოემის ამა თუ იმ სტროფის სიყალბე - ორიგინალობაზე, ეს უეჭველად პირველი გამომცემლის წყალობა იყო: ძირითადი მუშაობა ტექსტის დადგენისათვის (რასაკვირველია, დროის მიხედვით) მან ჩაატარა.

მხრივ ამ გამოცემას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და სწორედ ამით ხელმძღვანელობდა ტექსტის დამდგენი (აწინდელი) კომისია, რომელმაც თავის მუშაობისას ვახტანგისეულ რედაქციას საუკეთესო ხელნაწერის ღირებულება მიანიჭა. ეს რედაქცია მომავალშიაც არ ჰკარგავს თავის ფასს: მკვლევართათვის იგი ჯერ კიდევ დიდხანს იქნება საჭირო.

მაგრამ პირველ გამოცემას თან ახლდა დეფექტების რიგი, რაიც მით სარგებლობას აძნელებდა: ა. თავის დროზე, უნდა ვიფიქროთ, მცირე ტირაჟით გამოვიდა;

ბ. როგორც ვიცით, „მტერ - მოყვარეთაგან“ გამოცემის უდიდესი ნაწილი განადგურდა;

გ. დროთა განმავლობაში დარჩენილი მცირე ეგზემპლიარებიც დაზიანდა;

დ. ამას თუ დავუმატებთ იმ გარემოებას, რომ თავისთავად გამოცემას ბევრი კორექტურული და სხვა შეცდომა ახასიათებდა. ყველასათვის ცხადი უნდა ყოფილიყო ტექსტის მეორედ გამოცემის აუცილებლად საჭიროება და სწორედ აგრე იყო განწყობილი პროფ. **ა. შანიძე,** როდესაც მან ამ პასუხსაგებ და უეჭველად საძნელო საქმის მოჰკიდა ხელი.

რას წარმოადგენს ეს აღდგენილი გამოცემა?

გარეგნულად: აღდგენილია შრიფტი და გამოცემის სხვა „შემკულობა-ხატულობანი“. ამ მხრივ აღსანიშნავია მხატვრების **ვლ. გრიგოლიას და გიგი ჯაფარიძის შრომა.**

ა. დაცულია ძველი გამოცემის ფორმატი;

ბ. დაბეჭდილია (ძველისამებრ) ორფერად.

შინაარსეულად:

ა. გასწორებულია ძველი გამოცემის ყველა კორექტურული შეცდომა, აგრეთვე აშკარა დამახინჯებანი.

ბ. ამასთანავე ამ შესწორებათა ბუნება და თვისება, რომ ცხადი იყოს, მას წარმძღვარებული აქვს პროფ. ა. შანიძის განმარტებითი წერილი, რომელსაც თანვე მოჰყვება თვით შესწორებათა ნუსხა. ამ მხრივ უეჭველად დიდი მუშაობაა ჩატარებული, მუშაობა, რომელიც მოითხოვს არა მარტო ხანგრძლივ ფიზიკურ „ჩაკირკიტებას“, არამედ აგრეთვე დიდ ცოდნას და დაკვირვებასაც.

გ. აღსანიშნავია უეჭველად მართებული შესწორება „პატიჟთა გასაოცებით“ (ნაცვლად გაუგებარ „პატიჟთა გასაოცებით“-ისა) და განსაკუთრებით ორგან: სახარული (ამ შემთხვევაში მცდარ **სიხარულის** ნაცვლად), სახელდობრ —

ავთანდილი შერმადინისას მივიდა. „ვეზირმან ცნა, გაეგება: „ჩემსა მზეა ამოსული, ამას თურმე მახარებდა დღეს ნიშანი **„სახარული“**, ე. ი. გასახარებელი. დღემდე კი იკითხებოდა „ნიშანი სიხარული“, რაც გაუგებარიც იყო და განსაკუთრებით მახინჯი — შეთანხმება-შესიტყვების მხრივ.

კი მაგრამ: შეიძლება თუ არა სიტყვის ასე შესწორება? ხომ არ არის აქ რაიმე თვითნებობა, ხომ არაა თვით სიტყვაც (სახარული) ხელოვნურად შექმნილი? არა! და ამის დამადასტურებელია „ვეფხის-ტყაოსნის“ შემდეგი ადგილი:

შერმადინი შუამდგომლადაა როსტევანთან, სთხოვს—ავთანდილი გაუშვით ტარიელთანო.

მეფე წინააღმდეგია.

„რა მეფემან მოისმინა, გაგულისდა,
გაუცნობდა...
„ვითამც რამე სიხარული საქმე
მითხარ ვითა ადრად“.

შეუძლებელია ასეთი შესიტყვება: **სიხარული საქმე!** ცოტა უმჯობესია პროფ. ი. აბულაძის ვარიანტი: „ვითამც რამე სიხარულად, საქმე მითხარ ვითა ადრად“, მაგრამ მდგომარეობას არც ეს შველის. საქმე შეიძლება იყოს სასიხარულო, სახარებელი, გასახარებელი. **სახარული** და სწორად ასე აქვს ვახტანგს თავის პირველ გამოცემაში:

„ვითამც რამე **სახარული საქმე** მითხარ ვითა ადრად“.

მაშასადამე, სიტყვაც კანონიერია (მხოლოდ იშვიათი!) და პროფ. ა. შანიძის, შესწორებაც საჭირო და აუცილებელი.

მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით მეორე შესწორება - აღდგენის შესახებ. ტარიელი გადმოგვცემს ხვარაზმშას მოკვლის ამბავს:

კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ
ჩავაკარაბაკე,
ყმასა ფეხრთა მოვეკიდე, თავი სვეტსა
შევუტაკე;
წინა მწოლთა დაიზახეს, გლოვა მიხვდა
საარაკე,
ცხენსა შევჯე წაცამოველ, ჯაჭვი მევცა
საკურტაკე.

ეს სტროფი განსაკუთრებულია თავისი დინამიკით, თავისი ექსპრესიით. აქ თითოეული სიტყვა თავის პოზიციაზე დგას, ზედმიწევნით ასრულებს თავის ფუნქციას.

ამასთანავე გასაოცარია ბგერათ ჟღერა: ხმლის წკრიალი, კალთის ჩახევისა და ჩაჭრეჭის ხმა ცხადად ისმის და საამისოდ შოთას ბგერათა სათანადო შერჩევა, სათანადო ჟღერა აქვს:

კარვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე...

პროფ. ა. შანიძე უკანასკნელ სიტყვას, რომელიც ვახტანგს დამახინჯებულად აქვს, ასე აღადგენს: ჩავაქაბარაკე. არ ივარგებს. არ ივარგებს, რადგან ის სიტყვის უკანასკნელ კ-საც ქ-დ გარდაქმნის და ხომ შეიქმნა მაშინ ჟღერა, ხომ აიშალა მაშინ სიმფონია!

რა არის კიდევ ახალი და საყურადღებო ამ გამოცემაში?

მოცემული ცნობა ვახტანგის ლექსიკოლოგიური მუშაობის ბუნებისა და თვისების შესახებ და იქვე გამომცემლის მიერ ანბანზე გაწყობილი ყველა ის სიტყვა, რომელიც ვახტანგს განუმარტავს თავის „ვეფხის-ტყაოსანში“.

გამოცემაში სხვაც კიდევ მოიპოვება ახალი, მაგრამ მხოლოდ ერთის აღვნიშნავ:

როგორც ვიცით, „ვეფხის-ტყაოსანი“ ჩვენამდე ორი რედაქციითაა მოსული: ვრცელი და მოკლე რედაქციით. ვრცელი დაცულია ყველა ხელნაწერში, მოკლე — ვახტანგის გამოცემაში და მისგან მომდინარე ახალ ხელნაწერებში.

ამის გამო სპეციალისტებს შორის ამთავითვე დიდი დავა იყო ატეხილი. რას წარმოადგენს ვახტანგის გამოცემა: იგი ხელოვნურად შემოკლებული (ვახტანგის მიერ!) რედაქციაა, თუ რომელიღაც ხელნაწერის უცვლელად დაბეჭდილი პირია.

მკვლევართა ერთი ნაწილი ვახტანგის გამოცემას კრიტიკულ ტექსტად მიიჩნევდა, ე. ი. მრავალ ხელნაწერთაგან თვით ვახტანგმა (ან მისმა კომისიამ) დაადგინა გამოსაცემი ტექსტიო, მეორე ნაწილი ამტკიცებდა: ვახტანგის გამოცემა უცვლელი განმეორებაა რომელიღაც აწ დაკარგული ხელნაწერისაო.

პროფ. ა. შანიძის მიერ ჩატარებული მუშაობა საბოლოოდ ადასტურებს, რომ „ვახტანგს გაუცხრილავს ვეფხის-ტყაოსნის ტექსტი, პირველი გამოცემა „ვეფხის-ტყაოსნისა“ არის ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი და არა უცვლელად დაბეჭდილი რომელიღაც ძველი ხელნაწერი. ვახტანგისეული ვეფხის-ტყაოსანი არის შეძლებისამებრ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი“.

ეს გარემოება უეჭველად დიდ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს პროფ. ა. შანიძეს, რადგან ამასთან დაკავშირებით, (ცხადია, ხელახლა დაისმის საკითხი ე.-წ. „ვეფხის - ტყაოსნის“ გაგრძელებათა, კერძოდ: ინდო-ხატაელთა ამბის შესახებ. დაისმის მიუხედავად იმისა, რომ ზოგი პროფ. **ა. შანიძის** გამოკვლევის შემდეგ, განაგრძობს „მტკიცებას“, რომ ვახტანგის გამოცემა უცვლელი პირია ერთერთი ხელნაწერისაო.

ტექნიკურად წიგნი კარგადაა გაფორმებული.

◆

ლიტერატურული არქივი

პეტრე უმიკაშვილის წერილი „კვალის“ რედაქტორებისადმი

პეტრე უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ გამოსვლამ („ფედერაცია“. 1937 წ.) გამახსენა მისი ერთი კერძო წერილი, რომელიც რა ხანია გადავიწერე ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისაგან და სათუთად მქონდა შენახული.

ვბეჭდავთ ამ საყურადღებო წერილს ჩვენს შენიშვნებით.

ი. გრიშაშვილი.

ზესტაფონი,
25 დეკემბერი, 1893 წ.

ბატონო ანასტასიავ მიხეილის ასულო
და ძმაო გიორგი!

მოდის ახალი წელიწადი, მეორე წელი „კვალისა“ 1) და თქვენთან ერთად მეც მოზიარე ვარ მომავლის წლის ხელის მოწერის შესახებ. როგორ მიდის საქმე? აქ ზესტაფონში ვკითხულობ ფოჩტაში და აქედამ ჯერჯერობით გვარიანად მიდის საქმე. ამასთანავე მესმის, რომ იმერეთში ხელის მოწერა კარგა წავაო. ვნახოთ. აგრეთვე „მოამბეზე“2) კარგი ხმა ისმის და ხელის მომწერლები ჩახან.

რაც იქნება ხომ ვნახავთ და არ უნდა შეშინდეთ, თუ წელს ცოტათი იკლო ხელის მოწერამ. სურათებიანი გამოცემა ყოვლად საჭიროა ჩვენში და მომავალს კარგს უნდა მოველოდეთ, ამიტომ რომ ერთადერთი ილლუსტრაციური ჟურნალია. მხოლოდ საწადელი არის, უფრო მომატებულად შინაარსით მდიდარი შეიქნეს, მრავალ ფეროვან (р[illegible] **образный**) ჩაწერით შემკული და კარგის ნახატებით მორთული. ეხლანდელი სურათები არ აკმაყოფილებს ესტეტიურს გემოვნებას და არ შეუძლია გემოვნების გახსნა, წინ წაყვანა. ამისათვის წინათაც გვქონდა ლაპარაკი, რომ პეტერბურგში ან მოსკოვში უნდა გვყვანდეთ ვინმე მოხერხებული სტუდენტებში. მოსკოვში იქნება ხახანაშვილმა3) იკისროს, თუ გინდათ მე მოველაპარაკები. კარგა ვიცნობ. პეტერბურგში სტუდენტი ჯორჯაძეა და იქნება მაგიც დაგეხმაროთ. თქვენი შუაკაცი მოურიგდეს ვისმე და პოლიტიპაჟები ევებ გათხოვონ დროებით და ისევ დაუბრუნებთ აკკურატად. შეიძლება ილლუსტრატიულ ჟურნალებში კეთილსვინდისიანი თანამშრომელნი იყვნენ, რომელთაც აცნობონ თქვენმა აგენტებმა გაჭირვებული მდგომარეობა ქართულის ჟურნალისა და მიიღონ მხედველობაშიაც. არაფერს არ დააშავებს „კვალი“ თუ რუსულ „ნივას“ წაჰბაძავს. უნდა მისცეთ მრავალფერობა და მრავალფეროობა. ნუ ატანთ ძალას ერთგვარობას, შეამოკლეთ რამდენათაც შეიძლება ერთგვარობა ნაწერებისა, იშვიათ შემთხვევას გარდა, როგორც მაგალითად უკანასკნელი ნომერი ყაზბეგის გამო (მაგრამ მაინც სისრულე არ ეტყობა, ბიოგრაფიული წერილი არც ერთ გაზეთში არ იყო, საჭირო კია4) გიორგი, შენ ამას გეტყვი, რომ თავი დაანებო ფილოლოგიას, ნუ ახირდები!— ვინ მუშაობს რედაქციაში, ვინ გეხმარება? უნდა გაიჩინოთ ვინმე, თორემ მალე მოიღლებით და გაგიძნელდებათ. მე მინდოდა რამე გამომეგზავნა, მაგრამ დრო ვეღარ შემხვდა. მოვიფიქრებ პირველ ნომრებში რამე გამოგიგზავნოთ. გიორგის ამას ვეტყვი, რომ სტუდენტებისაგან თუ ვინმე მონაწილეობას იღებს, მიწერმოწერა იქონიოს, დიდი მნიშვნელობა აქვს ამას და დიდათ მოქმედებს. მხოლოდ ყოველ სიტყვას მიწერმოწერაში სიმართლე და სიმართლეა საჭირო. რამდენიმე ახალ მწერლის გამოჩენამ „კვალში“ მასიამოვნა, მაგალითად ა. ჯ.5) უნდა როგორმე დაიახლოვოთ ქუთაისში რატიშვილი ივანე6), ვეზირიშვილი მიხეილ7) (ადრესი: (**Игдир. судебный следователь** მიხეილ ნიკოლოზის-ძე ვეზიროვს). ეს ორნი ლიტერატურის ტემპერამენტიანი არიან, ჩემი მოწაფეები, ქართული კარგად იციან და უყვართ, ზნეობა-ხასიათით პატიოსნები. ბედმა უმუხთლა. ტფილისში ვერ დარჩნენ. ვეზირიშვილმა მშვენიერი წერილი დასწერა ბარათაშვილზე (ივერიაში), ამ რამდენიმე წლის წინათ8), არის კიდევ გედევანოვი ექიმი9), მეორე ძმა ტფილისის თავადაზნაურთა სკოლის ექიმისა. ამათ როგორმე უნდა დაუახლოვდეთ, გაიცნოთ და შემთხვევა არ დაჰკარგოთ მათის ნახვისა, თუ ამ უქმეებში მანდ იყვნენ ან როდისმე. ბატონი ანასტასიას იმედი მაქვს, გულმავიწყი არ არის გიორგისავით. მაგრამ ეს უნდა ვთქვათ, კარგა ხანმა გაიარა მას აქეთ, რაც მწერლობაში მუშაობა დავიწყეთ, მაგრამ გარემოება ისევე ძველი დარჩა, როგორც მაშინ პირველ ხანებში, დღესაც საჭიროა, ძებნა თანამშრომლებისა და მათი წახალისება, მოწვევა, დაახლოვება, მიწერმოწერა, თუ საჭიროდ დაინახავთ, მეც დაგეხმარებით და მოხსენებულ კაცებთან წერილებს გავგზავნი, მიიღონ მონაწილეობა „კვალში“. ერთის სიტყვით „კვალი“ უნდა გამაგრდეს და სიმტკიცე მოიპოვოს.

თქვენს რედაქციას ვთხოვ მომავალ წელსაც „კვალი“ და „ჯეჯილი“ ტფილისში მიგზავნოთ ჩემს სახელზე. ამ წლის ხვედრი ფული გიორგის გადავეცი. მომავალი 1894 წლის ხვედრსაც გადავიხდი ან ფულით, ან წერილებით, თუ შეიძლება. ადრესი ჩემი იგივეა ტფილისში სანამ გამოვიცვლიდე. თუ შეიძლოთ პასუხი მომწერეთ (**Квириллы в контору Гогоберидзе**) თქვენი **პეტრე უმიკაშვილი.**

P.S. ვაჟა-ფშაველა მანდ თუა, მომაკითხეთ. მისი ადრესი მაცოდინეთ. მინდა მოვწერო. მოუარეთ, ღვთის გულისთვის ძვირფასია, მაგრამ შეცდომას უფრთხილდით.

სალიტერატურო ფონდის დაფუძნებაზე მოვწერე კატოს10), ითავეთ კარგი საქმეა, საჭიროა.

პ. უმიკაშვილი.

შენიშვნები

1) „კვალი“ გამოვიდა 1893 წ. იბეჭდებოდა თერთმეტი წლის განმავლობაში — 1903 წლამდე.

2) იგულისხმება ჟურნალი „მოამბე“, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1894 წ. „მოამბე“ დაიხურა 1905 წელს.

3) პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი — გარდაიცვალა 1912 წელს 25 ივლისს.

4) ა. ყაზბეგი გარდაიცვალა 1893 წ. პ. უმიკაშვილი გულისხმობს „კვალის“ იმ ნომერს, რომელიც განსვენებულ ბელეტრისტს ეძღვნა — „კვალი“ 1893 წ. № 52

5) წერილი, რომელსაც მოწერილი აქვს ა. ჯ. დაიბეჭდა 1893 წ. „კვალის“ № 44 და 45-ში. ამ წერილს ორი სათაური აქვს: **სამეცნიერო კვლევა.** ქვესათაურია: **დაფარული სენი.** პირველი სათაური რედაქტორს უნდა ეკუთვნოდეს, მეორე — წერილის ავტორს. ქვეშ, ინიციალების გარდა, მოწერილი აქვს დაწერის დრო და ადგილი: „ვარშავა. 1893 წ“.

6) ივანე რატიშვილი — პედაგოგი.

7) მიხ. ვეზირიშვილი, პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის დისწული იყო (ბარბარეს ვაჟი).

8) მ. ვეზირიშვილის წერილი დაიბეჭდა „ივერიაში“ 1889 წ. № 247, 249, 250, 251 — შემდეგი სათაურით: „ნ. ბარათაშვილი და მისი პოეზია“.

9) აქ იგულისხმება ექიმი მიხ. გედევანიშვილი, რომელმაც 1914 წ. ილიას თხზულებანი გამოსცა. მიხ. გედევანიშვილი გარდაიცვალა 1922 წ.

10) კატო — ეკატერინე გაბაშვილი.

ი. გ.

„ლ ხ ი ნ ი“

კალე ბობოხიძემ დასწერა ლექსების ციკლი „ლხინი“. 20 ოქტომბერს პოეტების სექციამ მოაწყო ამ ნაწარმოების კითხვა-განხილვა. ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ილაპარაკეს მწერლებმა: გ. ლეონიძემ, ს. შანშიაშვილმა, ი. მოსაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ი. აბაშიძემ, ს. ეულმა, ბ. ჟღენტმა, ვ. გაფრინდაშვილმა, აკ. გაწერელიამ, ი. ტატიშვილმა და ს. ფაშალიშვილმა.

აღნიშნული მწერლების აზრით ამხ. კ. ბობოხიძის „ლხინი“ მნიშვნელოვანი ნაწარმოებია და მაჩვენებელია პოეტის ზრდისა. მწერლებმა ავტორს მიუთითეს ზოგიერთ ნაკლზე. ავტორმა უკვე შეიტანა შესწორებები. „ლხინი“ შეტანილი იქნება ბობოხიძის ლექსთა კრებულში, რომელსაც სცემს გამომცემლობა „ფედერაცია“.

„ლიტერატურული მემკვიდრეობა“

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა **შალვა რადიანის** „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა). წიგნში განხილულია ვრცლად ილია ჭავჭავაძის, გ. ერისთავის, რაფ. ერისთავის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, ვ. ბარნოვის, შ. არაგვისპირელის, ი. ევდოშვილის და ჭ. ლომთათიძის შემოქმედება.

„ლიტერატურული მემკვიდრეობა“ შეიცავს 20 ნაბეჭდ ფორმას. გამომცემელი — „ფედერაცია“.

გიორგი ლეონიძის ლექსების წიგნი

მოსკოვში „გოსლიტიზდატის“ გამომცემლობაში დაიბეჭდა და გამოვიდა გიორგი ლეონიძის ლექსების წიგნი (შეიცავს 142 გვერდს და ღირს 3 მან. 75 კ.)

წიგნში მოთავსებული ლექსები რუსულად თარგმნილია ნ. ტიხონოვის, ბ. პასტერნაკის, სპასკის, დერჟავინის, ლივშიცის, გატოვის, ჩაჩიკოვის, ბრიკის, სერებრიაკოვის და ანტოკოლსკის მიერ.

წიგნის მხატვრული სამკაული შესრულებულია ორდენოსან მხატვრის ლადო გუდიაშვილის მიერ.

შიო მღვიმელის არასაბავშვო ლექსები

„ფედერაციის“ გამომცემლობა ბეჭდავს შიო მღვიმელის არასაბავშვო ლექსებს. წიგნი დაამზადა და წინათქმა დაუწერა ი. გრიშაშვილმა.

ოვანეს თუმანიანი ქართულად

სახელგამმა სასკოლო ბიბლიოთეკის სერიად გამოსცა ოვანეს თუმანიანის „რჩეული ნაწერები“, თარგმანი ი. გრიშაშვილის მიერ.

„ჩვენი თაობა“ № 9

ახლახან გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდებათ მწერალთა კავშირის მხატვრული ჟურნალი „ჩვენი თაობა“, № 9. ჟურნალში მოთავსებულია ანდრო თევზაძის, მაყვალა მრევლიშვილის, რუდგოშელის, ნინო ქობულაშვილის, კალე ბობოხიძისა და ალექსანდრე ქუთათელის ლექსები. ჟურნალის ეს ნომერი მიძღვნილია რუსეთის დიდი პოეტის მ. ლერმონტოვის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. თარგმნილია ლერმონტოვის „სამი პალმა“ (ი. მჭედლიშვილის მიერ), „მწირი“ (ანდრო სიჭინავას მიერ) და „ტამანი“ (გ. ქიქოძის მიერ). ლერმონტოვის შემოქმედებაზე მოთავსებულია წერილები ლ. ასათიანისა „ლერმონტოვი და ჩვენი ქვეყანა“ და დოცენტ ა. ჩხეიძისა „მ. ლერმონტოვი“.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე აკაკი გაწერელიას წერილი „ნიკ. ბარათაშვილის თემა და სტილი“.

„მნათობი“ № 8—9

დაიბეჭდა და ურიგდება ხელისმომწერლებს საქ. საბჭოთა მწერლების თვიური ჟურნალი მნათობი № 8-9

ჟურნალის შინაარსი:

ალიო მაშაშვილი—„ენგური“ (პოემა), იაკინთე ლისაშვილი—„ძახილი მთაში“ (რომანი), სიმონ ჩიქოვანი—„ნიქარის საფერფლე“ (ლექსი), ილო მოსაშვილი—„სიტყვა სასამართლოში“ (ლექსი), ლეო ქიაჩელი—„გვადი ბიგვა“ (რომანი), გ. კაჭახიძე—„შოთას ხალიჩა“ (ლექსი), კ. ბობოხიძე—„სიმღერა გმირული ისპანეთზე“ (ლექსი), სიმ. ქვარიანი—„შოთა რუსთაველი“ (თავები რომანიდან), ალ. პუშკინი—„მეფე სალტანის ზღაპარი“ (თარგ. მიქ. პატარიძისა), ალ. ქუთათელი—„პირისპირ“ (რომანი), ალ. ჭეიშვილი—„ლელო“ (რომანი), ჟან ჟიონო—„დიდი ფარა“ (თარგ. ფრანგულით ი[illegible] დიონ ქავჟარაძის).

ფილოსოფიის კლასიკოსები

პეტრე შარია—რენე დეკარტე.

რუსთაველის იუბილეისათვის

ნ. ნათენაძე—„შოთა რუსთაველის ვინაობა - სადაურობის შესახებ“.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ერ. ასტვაცატუროვი — „ნაგერალი“.

ჟურნალი შეიცავს 312 გვერდს. ფასი 6 მანეთი.

პ.-მგ. რედაქტორი შალვა რადიანი
პ.-მგ. მდივანი ნიკოლოზ ჩაჩავა

მთავლიტის რწმუნებული 330053

ამხ. ს. [illegible]დრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.